პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 42-ე წელი
№ 65 (12273)

შაბათი, 17 მარტი, 1962 წ.

ფასი 2 კაპ.

ხვაღ, 18 მარტს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებია. ყველანი არჩევნებზე!



კომუნისტთა და უპარტიოთა ურღვევი ბლოკის მძლავრი ძალები

ქალაქ მოსკოვის კალინინის საარჩევნო ოლქის ამომრჩეველთა კრება

16 მარტს საღამოს 5 საათი. კრემლის ყრილობათა სასახლის დიდებული დარბაზი. კალინინის საარჩევნო ოლქის 6 ათასზე მეტი ამომრჩეველი — მუშები, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკები, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწეები, მოსამსახურეები, სტუდენტები, საბჭოთა არმიის მეომრები მოვიდნენ აქ, რათა შეხვედროდნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს დეპუტატობის კანდიდატს, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვს.

უდიდესი აღმაფრთოვანებელი ძალის მოვლენა იყო მოსკოველთა ეს შეხვედრა გამოჩენილ ლენინელთან, ხალხის ბედნიერებისათვის, მთელ მსოფლიოში მშვიდობის შენარჩუნებისა და განმტკიცებისათვის დაუცხრომელ მებრძოლთან.

შეკრებილნი მქუხარე ოვაციით შეხვდნენ ამხანაგებს **ლ. ი. ბრეჟნევს, ო. ვ. კუუსინენს, ა. ი. მიკოიანს, დ. ს. პოლიანსკის, მ. ა. სუსლოვს, ნ. ს. ხრუშჩოვს, ნ. მ. შვერნიკს, ვ. ვ. გრიშინს, პ. ნ. დემიჩევს, ლ. თ. ილიჩოვს, ბ. ნ. პონომარიოვს, ა. ნ. შელეპინს,** რომელნიც პრეზიდიუმში გამოჩნდნენ.

კრება შესავალი სიტყვით გახსნა სკკპ კალინინის რაიონული კომიტეტის მდივანმა **ვ. გ. ლომონოსოვმა.**

ტრიბუნაზეა ნდობით აღჭურვილი პირი, ქარხანა „ნამგალი და ეროს“ უფროსი ოსტატი **ი. ს. კულაგინი.** იგი ლაპარაკობს საბჭოთა ხალხის დიად საქმეებზე, რომლებითაც აღსავსე იყო წარსული არჩევნების შემდეგ განვლილი ოთხი წელი.

— ჩვენი ქარხნის კოლექტივი კალინინის რაიონის ყველა მშრომელთან ერთად ამ ზაზფხულის დღეებში დიდ სიხარულს განიცდის, — ამბობს ორატორი. — 18 მარტს ჩვენ ხმას მივცემთ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის ღირსეულ კანდიდატს ამხანაგ ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვს.

ი. ს. კულაგინი მიმართავს ნ. ს. ხრუშჩოვს და ამბობს:

— ამხანაგო ნიკიტა სერგის-ძეო! ჩვენი ქარხნის ყოველი მუშა, ყველა საბჭოთა ადამიანი კარგად იცნობს თქვენს დაუცხრომელ, ჭეშმარიტად ტიტანურ მოღვაწეობას ჩვენი ხალხის ცხოვრების მუდმივი გაუმჯობესებისათვის, ჩვენი სახელმწიფოს ეკონომიური და თავდაცვითი ძლიერების განმტკიცებისათვის ბრძოლაში.

ჩვენი ქვეყნის მშრომელები ხედავენ, რომ თქვენ, ნიკიტა სერგის-ძეო, ყოველთვის იქა ხართ, სადაც პარტია ყველაზე ძირეულ, ყველაზე რთულ ამოცანებს წყვეტს, რომ თქვენ ყოველთვის ხალხის მასების შუა გულში ხართ. მჩქეფარე ენერგია, ლენინური მგზნებარება და უბარალობა, ბოლშევიკური პრინციპულობა, ორგანიზატორის შესანიშნავი ტალანტი და სახელმწიფო მოღვაწის გამჭრიახობა, მთელი თქვენი მოღვაწეობა კომუნისტური პარტიის საქმის, ხალხის საქმის თავდადებული სამსახურის მკაფიო მაგალითია.

ამხ. კულაგინი მოუწოდებს კალინინის საარჩევნო ოლქის ყველა ამომრჩეველს — ერთსულოვნად მისცენ ხმა ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვს.

იმ უდიდეს, ჭეშმარიტად მამობრივ ზრუნვაზე, რომელსაც კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა და პირადად ამხანაგი ხრუშჩოვი იჩენენ საბჭოთა ადამიანების ჯანმრთელობის დაცვისათვის, კრებაზე ილაპარაკა 48-ე საავადმყოფოს მთავარმა ექიმმა **ა. გ. ფომინამ.**

— ადამიანი მალე ეჩვევა კარგს, — თქვა მან. — ჩვენ ამასაც შევეჩვიეთ, რომ სამედიცინო მომსახურება ჩვენში უფასოა. ჩემთან ხშირად შემოდიან ადამიანები მკურნალობის კურსს რომ დაამთავრებენ. ისინი მადლობას უხდიან პერსონალს ზრუნვისა და ყურადღებისათვის, ზოგიერთნი კი ამბობენ: აი ესა და ეს თქვენთან ჯერ კიდევ არ არის სიმაღლეზე, ხოლო აი ეს დაუყოვნებლივ უნდა გამოსწორდესო. ისმენ და ფიქრობ: „ჩემო ძვირფასო ადამიანო! რა შესანიშნავია ეს, რომ შენს წინაშე ახლა არ დგას პრობლემა — სად იშოვო ფული, რომ მკურნალობისათვის გადიხადო, რომ შენ მხოლოდ თვითონ მომსახურების გაუმჯობესება გაფიქრებს. ყველაზე მდიდარ კაპიტალისტურ ქვეყანაშიც კი — ამერიკაში, ავადმყოფს, რომელიც ეს-ეს არის ფეხზე წამოდგა ინფარქტის შემდეგ, შეიძლება იქვე მოუვიდეს მეორე ინფარქტი, როცა დაინახავს ანგარიშს მკურნალობისათვის, ვთქვათ, 3.000 დოლარის ოდენობით“.

პარტიის, მისი ცენტრალური კომიტეტის ვანსაკუთრებულ როლს მეცნიერების განვითარებაში მიუძღვნა თავისი გამოსვლა სოციალისტური შრომის გმირმა, ლენინური პრემიის ლაურეატმა, აკადემიკოსმა **ა. ი. იშლინსკიმ.** ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის, პირადად ნიკიტა სერგის-ძის მხარდაჭერითა და დახმარებით, ამბობს იგი, ჩვენმა შესანიშნავმა კონსტრუქტორებმა, მეცნიერებმა და მუშებმა შექმნეს დედამიწის ხელოვნური თანამგზავრები და კოსმოსური რაკეტები, განსაკუთრებით დიდია ნ. ს. ხრუშჩოვის დამსახურება ეპოქის უდიდესი დოკუმენტის, მარქსიზმ-ლენინიზმის მწვერვალის — სკკპ ახალი პროგრამის შექმნაში. განსაკუთრებით მინდა, განაგრძობს ა. ი. იშლინსკი, აღვნიშნო, თუ რა მგზნებარედ დაიცვა ნიკიტა სერგის-ძემ ტიმირიაზევ-პრიანიშნიკოვის მეცნიერული მემკვიდრეობა.

— ჩვენს თვალწინ იბადება ახალი ადამიანი, — ამბობს მოსკოვის სახარისხებელი სალოკომოტივო დეპოს ელმავლის მემანქანე **ა. მ. ბოგომოლოვი.** — ეს ჩვენი საწარმოს მაგალითითაც ჩანს. კოლექტივის ყველა წევრი სწავლობს, ყოველი მესამე მუშაკი რაციონალიზატორია. საკონსტრუქტორო ბიუროების, მემანქანეების, ინსტრუქტორების საზოგადოებრივ საწყისებზე მუშაობა, ამხანაგური ურთიერთდახმარება, ეს ახლის, კომუნისტურის ყლორტები ჩვეულებრივი მოვლენა გახდა ჩვენში. ჩვენ ისე ვმუშაობთ, რომ არა გვაქვს ტაბელის აღრიცხვა და ტექნიკური კონტროლის განყოფილება.

დეპოს რკინიგზელთა დაჯილებით, რომელმაც პირველმა აღმართა კომუნისტური შრომისათვის სახელოვანი მოძრაობის დროშა, ამხ. ბოგომოლოვმა ტაშის გრიალში გადასცა ნიკიტა სერგის-ძეს კომუნისტური შრომის დამკვრელის ნიშანი.

კალინინის საარჩევნო ოლქის ახალგაზრდობის სახელით გულში ჩამწვდომი სიტყვა წარმოთქვა მოსკოვის ენერგეტიკული ინსტიტუტის სტუდენტმა **თამარ კრუპენიკოვამ.**

— დრო კოსმოსური სიჩქარით ვადის, — თქვა მან. — სტუდენტური ენით რომ ვთქვა, იგი პირდაპირ ფეხდაფეხ მოგვდევს. დღეები მიდის. მაგრამ დღეები რჩება კიდევაც, თუ ისინი შრომით იყო აღსავსე. ამის საუცხოო მაგალითია ჩვენი კომუნისტური პარტიის მუშაობა. გადაწყდა ყამირის ათვისება. დღეები არ წასულა, ისინი დარჩნენ მოხნულ ჰექტარებში, ახალ საბჭოთა მეურნეობებში, ადამიანთა ახალ ბედ-იღბალში. პარტიამ დასახა გადაგვეწყვიტა საბინაო პრობლემა ჩვენს ქვეყანაში. და აი გაჩნდა ათასობით ახალი ნათელი, მყუდრო უბანი.

ყოველთვის, როცა პარტია მოუწოდებს ხალხს ახალ-ახალი დიადი საქმისათვის სალაშქროდ, ცენტრალური კომიტეტი და თქვენ, ნიკიტა სერგის-ძეო, დიდ იმედს ამყარებთ ახალგაზრდობაზე. და საბჭოთა ახალგაზრდობა, კომკავშირი თქვენს ნდობას უსაზღვრო ერთგულებით უპასუხებს, გმირობას იჩენს შრომაში.

ყველა ორატორმა მოუწოდა ამომრჩევლებს 18 მარტს თავიანთი ხმა მისცენ კომუნისტთა და უპარტიოთა მძლავრი ბლოკის კანდიდატს, ჩვენი პარტიისა და საბჭოთა ხალხის ერთგულ შვილს ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვს, ხმა მისცენ დედამიწაზე ყველაზე ჰუმანურ და ნათელ წყობილებას — კომუნიზმს.

კრებაზე გამოვიდა ამხანაგი **ნ. ს. ხრუშჩოვი,** რომელსაც მქუხარე ტაშით შეხვდნენ.

ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვა

ძვირფასო ამხანაგებო! დიდი მადლობის გრძნობით შევიტყე, რომ ქალაქ მოსკოვის კალინინის საარჩევნო ოლქის მშრომელებმა კვლავ, აი უკვე მერამდენჯერ, დამასახელეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად.

ამისათვის მინდა უწინარეს ყოვლისა გულითადი მადლობა გადაგიხადოთ თქვენ, ხოლო თქვენი სახით კალინინის საარჩევნო ოლქის ყველა მშრომელს და პირობა მოგცეთ, რომ არ დავიშურებ ძალღონეს, რათა გავამართლო თქვენი დიდი ნდობა.

ნება მიბოძეთ აგრეთვე მადლობა გადავუხადო აქ გამოსულ ყველა ამხანაგს, რომლებმაც ბევრი კეთილი სიტყვა თქვეს ჩემს შესახებ.

ყოველ კომუნისტს თავისადმი ასეთი ნდობის ფაქტი მიაჩნია ხალხის დიდ ნდობად და სიყვარულად საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისადმი, რომლის ხელმძღვანელობით იგი შრომობს და იბრძვის ჩვენი სამართლიანი საქმის — კომუნიზმის საქმის გამარჯვებისათვის!

მთელი მსოფლიოს მშრომელები საუკუნეობით ოცნებობდნენ აშენდეს დედამიწაზე ისეთი საზოგადოება, სადაც არ იქნებიან მჩაგვრელები და ჩაგრულები, სადაც შრომა ადამიანის ცხოვრებას ღირსეულს, უზრუნველყოფილს, კულტურულს გახდის. კომუნისტური მოძღვრება გახდა მთელი მსოფლიოს მშრომელთა დროშა. ამ მოძღვრებას ისინი უკავშირებენ დიდ იმედებს, თავიანთ სასიცოცხლო იდეალებს.

ჩვენი ქვეყანა პირველი დაადგა სოციალისტური და კომუნისტური მშენებლობის გზას. ახლა სოციალიზმი უკვე ოცნება, შორეული მომხიბლავი იდეა როდია. იგი რეალობა, ჩვენი ცხოვრება გახდა. არა მომავალში, არამედ უკვე ახლა სოციალიზმი მთელი ქვეყნების ხალხებს, რომლებიც დაადგნენ საზოგადოების განვითარების ახალ გზას, აძლევს დიდ მატერიალურ და სულიერ სიკეთეს.

სსრ კავშირში სოციალიზმის გამარჯვება მარტო ჩვენს გამარჯვებას როდი ნიშნავდა, ამხანაგებო! ეს იყო მარქსისტულ-ლენინური მოძღვრების გამარჯვება, მსოფლიოს ყველა ქვეყნის მშრომელთა გამარჯვება, რომლებიც მუდამ ძმურად გვიჭერდნენ და გვიჭერენ მხარს.

ჩვენი ქვეყანა ახლა თავისი განვითარების ახალ ხანაში შევიდა. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXII ყრილობაზე მიღებულ იქნა კომუნისტური მშენებლობის პროგრამა, რომელსაც თანამედროვე ეპოქის კომუნისტურ მანიფესტს უწოდებენ.

თუ კომუნისტური მანიფესტი, რომელიც მარქსმა და ენგელსმა დაწერეს, აცხადებდა, რომ კომუნიზმის აჩრდილი დადის ევროპაში, ახლა ეს „აჩრდილი“ გადაიქცა მძლავრ ძალად — საბჭოთა კავშირად და სხვა სოციალისტურ სახელმწიფოებად. მსოფლიო სოციალისტური სისტემა განუწყვეტლივ იზრდება, ზრდის თავის ძალებს, სწრაფი ტემპებით ავითარებს ეკონომიკას, კულტურას და, ხატოვნად რომ ვთქვათ, ისეთი ხილული ხორცი შეისხა, რომ მხოლოდ ბრმა ვერ ხედავს, რომ კომუნიზმი მტკიცედ დამკვიდრდა დედამიწაზე, რომ მომავალი კომუნიზმს ეკუთვნის, რომ კომუნიზმი გაიმარჯვებს! ახლა ისინი, ვისაც შეეძლო არ წაეკითხა პირველი კომუნისტური მანიფესტი, არ მიეღო იგი ვარაუდში მსოფლიო ძალების შეფასების დროს, გულდასმით სწავლობენ ჩვენს პროგრამას, იმიტომ რომ კომუნისტებმა საქმით დაამტკიცეს, რომ მათი სიტყვები ფუჭი როდია.

მთელი მსოფლიოს მილიონობით მშრომელნი, ჩვენი მეგობრები და მეცნიერული კომუნიზმის მიმდევრები აღტაცებული არიან კომუნისტური მშენებლობის წარმატებებით, ჩვენი განვითარების გრანდიოზული გეგმებით. კომუნიზმის მოწინააღმდეგეებსაც აღარ მიაჩნიათ ჩვენი დიადი მოძღვრება მეოცნებეთა აუხდენელ იდეებად, იმიტომ რომ კომუნიზმი რეალობა გახდა. კომუნიზმი რეალური საფრთხეა რეაქციის ძალებისათვის, იმათთვის, ვისაც სურს გაყინულ მდგომარეობაში დატოვოს ადამიანთა საზოგადოება, შეინარჩუნოს კაპიტალისტურ ქვეყნებში მონოპოლისტური კაპიტალის ბატონობა, ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაცია. აი რატომ აშინებს მათ კომუნიზმის იდეების მიმზიდველი ძალა.



ამხანაგებო! ჩვენი ქვეყნის უმაღლესი საბჭოს — ჩვენი სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს არჩევნები ოთხ წელიწადში ერთხელ ხდება.

ეს ხალხის დღესასწაულია, დღესასწაული, რომელიც კარგი ტრადიცია გახდა. ჩვენს ქვეყანაში არჩევნებში მონაწილეთა პროცენტი ისე დიდია, როგორიც არ იცის მსოფლიოს არც ერთმა კაპიტალისტურმა ქვეყანამ. ეს გასაგებიც არის, იმიტომ რომ ხალხი ხელისუფლების ორგანოებში თავის საუკეთესო წარმომადგენლებს ირჩევს.

ამერიკის შეერთებული შტატების ცხოვრების ბურჟუაზიული წესის პროპაგანდისტები და იდეოლოგები იკვეხნიან იმას, რომ იქ კონგრესის არჩევნებში კენჭს იყრის ორი კანდიდატი. ეს მათ მიაჩნიათ დემოკრატიის რაღაც უმაღლეს გამოვლინებად.

რა ორი კანდიდატი იყრის კენჭს იქ არჩევნებში? რომელი პარტიებისა არიან ეს კანდიდატები? ორი ძირითადი ბურჟუაზიული პარტიისა — დემოკრატიული და რესპუბლიკური პარტიებისა. მაგრამ თვითონ ამერიკელები ამბობენ, რომ ამ ორ პარტიას შორის პრაქტიკულად არავითარი განსხვავება არ არის. ორივე ექსპლოატატორული კლასების ინტერესებს გამოხატავს. ამიტომ არჩევნების დროს წარმოებს ბრძოლა სხვადასხვა კანდიდატებს შორის, რომლებიც მონოპოლისტების, მეფაბრიკეების, მექარხნეების, ესე იგი იმ კლასების წარმომადგენლები არიან, რომელთა ბატონობას საბჭოთა ხალხმა ჯერ კიდევ 1917 წელს მოუღო ბოლო. ყველაზე მთავარი განსხვავება რესპუბლიკურ და დემოკრატიულ პარტიებს შორის ის არის, რომ რესპუბლიკური პარტიის ემბლემაა სპილო, ხოლო დემოკრატიული პარტიისა — ვირი. შეგიძლიათ წარმოიდგინოთ, რა ღირიმი არჩევანი აქვთ ამერიკელ ამომრჩევლებს.

მე მომეწონა ერთი მუშის გამოსვლა ამ წინასაარჩევნო კამპანიის დროს. მან თქვა: „ჩვენ, საბჭოთა ადამიანები, — კომუნისტები და უპარტიოები, — ხმას ვაძლევთ ხალხის ერთ, მაგრამ ნამდვილ წარმომადგენელს. ეს კი ბევრად უკეთესია, ვიდრე ამერიკის შეერთებულ შტატებში, სადაც ადამიანებს სთავაზობენ არჩევანს ორ კანდიდატს შორის, რომელთაგან ერთი მეორეზე უკეთესი როდია, რადგან არც ერთ მათგანს ხალხთან საერთო არა აქვს რა“.

კომუნისტებისა და უპარტიოების ბლოკის კანდიდატები, რომლებიც უმაღლეს საბჭოში დაასახელა მილიონობით მშრომელმა, არიან სამრეწველო საწარმოებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშები, კოლმეურნეები, მეცნიერები, ექიმები, მასწავლებლები, მწერლები, ინჟინრები, აგრონომები, ჩვენი ქვეყნის შეიარაღებული ძალების წარმომადგენლები, პარტიული და პროფკავშირული მუშაკები. დეპუტატობის თვითეული კანდიდატი მუშაობს კომუნისტური მშენებლობის კონკრეტულ უბანზე და განუყრელად დაკავშირებულია ხალხის ცხოვრებასთან. სხვანაირად არც შეიძლება იყოს, რადგან მშრომელთა დეპუტატების საბჭოები ნამდვილი სახალხო ხელისუფლების ორგანოებია, რომლებშიც ხალხი ირჩევს თავის საუკეთესო შვილებს და ანდობს მათ მთელ ძალაუფლებას ჩვენს ქვეყანაში.

სხვა საქმეა ამერიკის შეერთებულ შტატებსა და სხვა იმპერიალისტურ ქვეყნებში. იქ კონგრესში, პარლამენტებში უდიდეს უმრავლესობას შეადგენენ მონოპოლისტური კაპიტალის წარმომადგენლები. მართალია, თვით მონოპოლისტები იშვიათად თანხმდებიან დაესწრონ სხდომებს პარლამენტებში. უკეთ რომ გაასულელონ მშრომელები, ისინი პარლამენტებში ასახელებენ მონოპოლისტური კაპიტალის ყველაზე ერთგულ მსახურებს. კაპიტალის ეს მსახურები კი უფრო გამბოროტებით იღრინებიან, იცავენ თავიანთი მდიდარი პატრონების ინტერესებს, რადგან ამისათვის მათ ფულს აძლევენ. კაპიტალისტები კარგად შეარჩევენ ხოლმე თავიანთ მსახურებს და უხვად აძლევენ მათ ფულს ერთგული სამსახურისათვის.

ჩვენ მტკიცედ და თანმიმდევრულად ვახორციელებთ დიდი ლენინის მითითებას, რომ ბურჟუაზიული საზოგადოების მოსყიდული და დამპალი პარლამენტარიზმი გადაჭრით შეიცვალა „ისეთი დაწესებულებებით, სადაც მსჯელობისა და განხილვის თავისუფლება მატყუარობად არ იქცევა, ვინაიდან პარლამენტარებმა თვითონ უნდა იმუშაონ, თვითონ უნდა შეასრულონ თავიანთი კანონები, თვითონ უნდა შეამოწმონ ის, თუ რა გამოდის ნამდვილად, თვითონ უშუალოდ უნდა აგონ პასუხი თავიანთ ამომრჩეველთა წინაშე“ (ლენინი. თხზ., ტ. 25, გვ. 523).

როცა ვ. ი. ლენინი 1917 წელს აყენებდა ამ ამოცანას, იგი ემყარებოდა უკვდავი პარიზის კომუნის გამოცდილებას, რომლის ღირსშესანიშნავ წლისთავს ჩვენ, ისე როგორც მთელი მსოფლიოს მშრომელები, აღვნიშნავთ უმაღლესი საბჭოს არჩევნების დღეს. ისე რომ 18 მარტი ჩვენში, ასე ვთქვათ, ორმაგი დღესასწაული იქნება.

პარიზის კომუნა, მარქსის განსაზღვრით, იყო „მომუშავე კორპორაცია, ერთსა და იმავე დროს კანონმდებელიც და კანონების შემსრულებელიც“.

ასეთი „მომუშავე კორპორაციებია“ მშრომელთა დეპუტატების საბჭოები, რომელთა როლი კიდევ უფრო იზრდება ახლა, კომუნიზმის გაშლილი მშენებლობის პერიოდში. ცნობილია, რომ საბჭოებში შეხამებულია სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ნიშნები. ისინი სულ უფრო მეტად გამოდიან როგორც საზოგადოებრივი ორგანიზაციები და მთელ მათ მუშაობაში მშრომელი მასები ფართო და უაღრესად აქტიურ მონაწილეობას იღებენ.

უმაღლესი საბჭო თავის უფლებამოსილებას მოიხსნის ახალი დეპუტატების არჩევის შემდეგ. მისი ნაყოფიერი საქმიანობის მაჩვენებელია ის უცილობელი ფაქტი, რომ განვლილ ოთხ წელიწადში ჩვენმა სოციალისტურმა სამშობლომ თავისი განვითარების ახალ მწვერვალებს მიაღწია. ამ მწვერვალებიდან უკვე მკაფიოდ მოჩანს კომუნიზმის მონახაზები, რომლისკენაც მივდივართ და აუცილებლად მივალთ, ამხანაგებო!

საპატიო და პასუხსაგები საქმეა არჩეული იყო სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოში და იყო მისი უდიდებულესობის ხალხის წარმომადგენელი. მაგრამ, როგორც იტყვიან, ვისაც ბევრი ეძლევა, მას ბევრიც მოეთხოვება. უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატები გამოდიან მშრომელთა წინაშე და პატიოსნად და გულახდილად უზიარებენ ამომრჩევლებს თავიანთ ფიქრებს. არც ერთი ჩვენგანი არ გბირდებათ რძის მდინარეებსა და თაფლის ნაპირებს, არ აცხადებს ისეთ წინასაარჩევნო ლოზუნგებს, რომელთა განხორციელება შეუძლებელი იყოს.

საბჭოთა ადამიანებმა კარგად იციან საქმის ვითარება ჩვენს ქვეყანაში. ჩვენი სახელმწიფოს მთელი ცხოვრება, უმაღლესი ორგანოების საქმიანობით დაწყებული სახელმწიფო აპარატისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ძირეულ უჯრედებამდე, ღია და დემოკრატიულია. პარტია და სახელმწიფო მუდამ ეთათბირებიან ხალხს, ხალხთან ერთად ადგენენ შემდგომი წინსვლის გეგმებს, სახავენ ამ გეგმების შესრულების გზებს. აი ამიტომ დღესაც, ამხანაგებო, მინდა გითხრათ, რომ ჩვენი გამარჯვება კომუნისტურ მშენებლობაში თავისთავად არ მოვა ან, როგორც ძველად ამბობდნენ, მანანად არ ჩამოცვივა ზეციდან.

პარტიის მიერ დასახული კომუნისტური მშენებლობის გეგმები მით უფრო წარმატებით შესრულდება, რაც უკეთ იშრომებს თვითეული საბჭოთა ადამიანი, თვითეული სამრეწველო საწარმო, კოლმეურნეობა, საბჭოთა მეურნეობა, მშრომელთა თვითეული კოლექტივი. თუ თვითეული ჩვენგანი თავის წმინდა მოვალეობად მიიჩნევს ღირსეული წვლილი შეიტანოს დასახული გეგმების განხორციელებაში, მით უფრო სწრაფად მივაღწევთ დასახულ მიზანს. კომუნისტური მშენებლობის დიად საქმეში არ არის წყნარი უბნები და უმნიშვნელო საქმეები. საქმეს, რომელიც სრულდება კომუნიზმის მშენებლობის თუნდაც სულ პატარა უბანზე, ხშირად გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მთელ ჩვენს მუშაობაში.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნები ჩვენში ეწყობა გაზაფხულის დასაწყისშივე. ეს ისეთი ხანაა, როცა ბუნებაც და ადამიანიც ახალ ძალებს, ენერგიას იკრებენ. მოდით შევხვდეთ კომუნისტური მშენებლობის ამ გაზაფხულს მებრძოლურად, სავსებით შეიარაღებულნი, როგორც კარგი მხვნელი, რომელიც გაზაფხულს ეგებება და მინდორს კარგი თესლით თესავს.

ამხანაგებო! სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს წინა არჩევნები, როგორც გახსოვთ, გაიმართა 1958 წლის 16 მარტს. უკვე იმ დროს ჩვენ წინ მივდიოდით ფართო ნაბიჯით ლენინის მიერ დასახული მიზნისაკენ — დავეწიოთ და გავუსწროთ ეკონომიური განვითარების მხრივ ყველაზე განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებს. მაგრამ ამ წლებში ჩვენი წინსვლის მასშტაბები და ტემპები კიდევ უფრო გაიზარდა.

(გაგრძელება მე-2 გვერდზე)

საკლესის ცნობა

1962 წლის 16 მარტს საბჭოთა კავშირში მოეწყო დედამიწის ხელოვნური თანამგზავრის მორიგი გაშვება.

წინასწარი გაანგარიშებით თანამგზავრი გავიდა ორბიტაზე, რომლის პერიგეა 217 კილომეტრი და აპოგეა — 980 კილომეტრია. თანამგზავრის მიმოქცევის პერიოდი შეადგენს 96,35 წუთს. ეკვატორის სიბრტყის მიმართ თანამგზავრის ორბიტის სიბრტყის დახრილობის კუთხე შეადგენს 49 გრადუსს.

თანამგზავრზე დადგმულია სამეცნიერო აპარატურა, რადიოტელემეტრიული სისტემა და რადიოგადამცემი, რომელიც მუშაობს 20, 003 და 90,018 მეგაჰერც სიხშირეებზე.

თანამგზავრის დაკვირვებას და ტელემეტრიული მონაცემების მიღებას აწარმოებენ საკომანდო-საზომი კომპლექსის სახმელეთო პუნქტები, რომლებიც განლაგებულია საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე.

16 მარტს თანამგზავრი გადაივლის შემდეგი ქალაქების რაიონებზე: ნიუ-იორკისა — 19 საათსა და 46 წუთზე, ადისაბებისა — 20 საათსა და 12 წუთზე, ველინგტონისა — 20 საათსა და 50 წუთზე, ლოს-ანჟელესისა — 21 საათსა და 18 წუთზე, ოტავისა — 21 საათსა და 27 წუთზე, მელბურნისა — 22 საათსა და 26 წუთზე.

დედამიწის ხელოვნური თანამგზავრის ახლანდელი გაშვება ატმოსფეროს და კოსმოსური სივრცის ზედა ფენების გამოკვლევის იმ პროგრამის განგრძობაა, რომლის შესასრულებლადაც 1962 წლის მანძილზე საბჭოთა კავშირის სხვადასხვა კოსმოდრომიდან შესრულდება დედამიწის ხელოვნურ თანამგზავრთა გაშვების სერია.

ამ კვლევის მეცნიერული პროგრამა ითვალისწინებს:

— შეისწავლონ დამუხტულ ნაწილაკთა კონცენტრაცია იონოსფეროში რადიოტალღების გავრცელების გამოკვლევის მიზნით;

— შეისწავლონ მცირე ენერგიათა კოსმოსულსარული ნაკადები და ნაწილაკები;

— შეისწავლონ დედამიწის რადიაციულ სარტყელთა ენერგეტიკული შედგენილობა, რათა შეაფასონ რადიაციის საფრთხე ხანგრძლივი კოსმოსური ფრენის დროს;

— შეისწავლონ კოსმოსური სხივების პირველადი შედგენილობა და მათი ინტენსიობის ვარიაციები;

— შეისწავლონ დედამიწის მაგნიტის არე;

— შეისწავლონ მზისა და სხვა კოსმოსურ სხეულთა მოკლეტალღიანი გამოსხივება;

— შეისწავლონ ატმოსფეროს ზედა ფენები;

— შეისწავლონ მეტეორული ნივთიერების ზემოქმედება კოსმოსური ობიექტების კონსტრუქციის ელემენტებზე;

— შეისწავლონ ღრუბლების სისტემათა განაწილება და შექმნა დედამიწის ატმოსფეროში.

გარდა ამისა, საბოლოოდ დამუშავდება კოსმოსური აპარატების კონსტრუქციის ბევრი ელემენტი.

ამ სერიის თანამგზავრთა გაშვების შესახებ გამოქვეყნდება ცალკე ცნობები.

დასახული პროგრამის განხორციელების შედეგად საბჭოთა მეცნიერებს ახალი შესაძლებლობა მიეცემათ — გამოიკვლიონ ატმოსფეროს და კოსმოსური სივრცის ზედა ფენების ფიზიკა.

ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვა

(გაგრძელება)

ბი ზოგიერთი სტატისტიკური მონაცემები, რომლებიც ბევრ რამეს მოწმობენ. თუ ამერიკის შეერთებულ შტატებში სამრეწველო პროდუქციის მატების საშუალო წლიური ტემპი ამ ოთხ წელიწადში შეადგენდა 2,2 პროცენტს, საბჭოთა კავშირში შეადგენდა 10,1 პროცენტს. ამავე ხნის მანძილზე ფოლადის გამოდნობა ჩვენში გაიზარდა 19,6 მილიონი ტონით, ანუ 38 პროცენტით, ხოლო ამერიკის შეერთებულ შტატებში შემცირდა 14,3 მილიონი ტონით, ანუ 14 პროცენტით. ნავთობის მოპოვება სსრ კავშირში 1957 წლიდან 1961 წლამდე გადიდდა 67,7 მილიონი ტონით, ანუ 69 პროცენტით, ამერიკის შეერთებულ შტატებში კი გადიდდა მხოლოდ 1 პროცენტით.

განვლილ ოთხ წელიწადში მუშა-მოსამსახურეთა რიცხვი ჩვენში გაიზარდა 12 მილიონ 900 ათასით, ანუ 24,2 პროცენტით. საბჭოთა კავშირში უკვე დიდი ხანია არ არის უმუშევრობა. თვითეული საბჭოთა ადამიანი სარგებლობს შრომის უფლებით და საზოგადოებისაგან იღებს თავისი შრომის ანაზღაურებას ამ შრომის რაოდენობისა და ხარისხის შესაბამისად. ამერიკის შეერთებულ შტატებში კი უმუშევართა რიცხვი ამ ხნის განმავლობაში 1,9 მილიონით გაიზარდა და შეადგენს უდიდეს ხუთმილიონიან არმიას. გარდა ამისა, მილიონობით ამერიკელი ნაწილობრივ უმუშევარია.

ჩვენში საბჭოთა კავშირის მოსახლეობის შემადგენლობა ისე გაახალგაზრდავდა, რომ ახლა უკვე ცოტა დარჩა ისეთი ადამიანი, რომლებსაც კონკრეტულად აქვთ წარმოდგენილი, თუ რა არის უმუშევრობა. უმუშევრის მდგომარეობა რომ გავიგოთ, როგორც იტყვიან, მის ყოფაში უნდა ჩავვარდეთ, ვიგრძნოთ ასეთი ადამიანის მდგომარეობის მთელი გამოუვალობა. იგი მიდის შინ, სადაც ელის ოჯახი: ცოლ-შვილი, მას კი არავითარი იმედი არა აქვს, რომ ხვალ მიიღებს სამუშაოს და მძიმე მდგომარეობას შეუმსუბუქებს ოჯახს. და ეს ხდება მაშინ, როცა ჯანსაღ ადამიანს სურს იშრომოს, საშრომიც არის, მაგრამ მისთვის არ არის სამუშაო, რადგან ქვეყანაში გადამეტწარმოებაა. გადამეტწარმოება იმით კი არ არის გამოწვეული, რომ ქვეყანაში ყველა მაძღარია, ჩაცმულ-დახურულია, არამედ იმით, რომ მოსახლეობის მყიდველობითი უნარი დაეცა, რომ ბევრი ადამიანი გაჭირვებაშია და ყველაზე საჭირო რამესაც ვერ ყიდულობს. ამიტომ ბევრი საქონელი გაუსაღებელი რჩება. ეს კაპიტალიზმის მოჯადოებული წრეა, რომლის არსი კარგად დაგვანახვეს მარქსმა, ენგელსმა და ლენინმა.

კაპიტალისტები ვერ აიღებენ ხელს ასეთ წესებზე. ხომ არ შეიძლება დავიყოლიოთ ვეფხვი, რომ დაიწყოს ბალახის ჭამა, იგი ამას ვერ იზამს, რადგან ხორცის მჭამელია. ვერ დავიყოლიებთ მონოპოლისტს, კაპიტალისტს, ვერ დავუმტკიცებთ იმას, რომ კომუნიზმი ჯობს კაპიტალიზმს. რას ნიშნავს დაყოლიება? ეს იმას ნიშნავს, რომ დავაჯეროთ იგი, უარი თქვას თავის კაპიტალზე, რათა საწარმოები, რომელთა შესახებაც იგი ამბობს „ჩემიაო“, ხალხის კუთვნილება გახდეს და მშრომელმა ადამიანებმა თქვან მის შესახებ: „ჩვენია“.

სად ნახავ ისეთ კაპიტალისტს, რომ ნებაყოფლობით აიღოს ხელი მთელ თავის სიმდიდრეზე?

იმის მიღწევა, რომ მთელი სიმდიდრე ხალხის ხელში გადავიდეს, შეუძლია მხოლოდ მუშათა კლასს, რომელიც დაირაზმება ერთსულოვან ოჯახად და თავის ხელში აიღებს ძალაუფლებას. ხოლო იმისათვის, რომ წარმატებით მოახდინოს ეს, მუშათა კლასს ესაჭიროება პარტია, რომელიც შეძლებს დარაზმოს იგი და სწორი გზით წაიყვანს. ასეთი პარტია, როგორც ისტორიის გამოცდილება გვიჩვენებს, მხოლოდ კომუნისტური პარტიაა, მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი მუშათა კლასის გამარჯვება, და ეს გამარჯვება იქნება, იქნება, იქნება!

კაპიტალისტები ვერავითარი ლოცვით, ვერავითარი მოწყალების გაღებით ვერ დაიხსნიან თავს კომუნიზმის გამარჯვებისაგან! ეს მხოლოდ დროის საკითხია.

ჩვენი შრომა, კომუნიზმის მშენებლობა საბჭოთა კავშირში — დასამწიფებელი საფუარია. იცით, როგორ აქვს საქმე კარგ დიასახლისს, რომელიც ბლინებს აცხობს. თუ საფუარი კარგია, ცომიც კარგად ამოდის. სოციალიზმისა და კომუნიზმის წარმატებანი ჩვენში და სხვა ქვეყნებში აჩქარებენ პირობების მომზადებას სოციალიზმის ახალ-ახალი გამარჯვებისათვის.

ჩვენი კომუნისტური პარტიის, მოძმე კომუნისტური პარტიების საქმიანობა, კომუნიზმის ჩვენი მშენებლობა, ხატოვნად რომ ვთქვათ, თავისებური საფუარია, რომელიც აჩქარებს კომუნიზმის ახალ-ახალ გამარჯვებას.

აქ ბურჟუაზიული ქვეყნების ჟურნალისტები გვესწრებიან. ისინი, რა თქმა უნდა, ახლავე დაწერენ, ხრუშჩოვი მსოფლიო რევოლუციისათვის, მსოფლიო კომუნიზმისათვის მოუწოდებს და ამიტომ მშვიდობიანი თანაარსებობა არ შეიძლება იყოსო და სხვა და სხვა.

წერეთ, ბატონებო, რაც გსურდეთ! თქვენ ხომ მსოფლიო კაპიტალიზმის გამარჯვება გინდათ. მაშ რატომ გსურთ წამართვათ მსოფლიო კომუნიზმის პროპაგანდის ასეთივე უფლება? სადღაა თანასწორი პირობები?

როცა ერთმანეთს ვადარებთ ამ ცნობებს, რომლებშიც, როგორც სარკეში, ასახულია ჩვენი ქვეყნისა და კაპიტალისტური სამყაროს ყველაზე განვითარებული ქვეყნის ეკონომიკა, გული გვევსება სიამაყით ჩვენი სოციალისტური სისტემისათვის. იგი საშუალებას აძლევს ხალხს სწრაფი ტემპებით განავითაროს სახალხო მეურნეობის ყველა დარგი, შეუჩერებლად იაროს წინ, კომუნიზმის ელვარე მწვერვალებისაკენ.

ჩვენი პროგრამა საქვეყნოდ აცხადებს, რომ უკვე 1970 წლისათვის ჩვენ გავუსწრებთ ამერიკის შეერთებულ შტატებს როგორც სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო წარმოების საერთო მოცულობის მხრივ, ისე ერთ სულ მოსახლეზე პროდუქციის წარმოების მხრივ, 1980 წლისათვის კი შორს მოვიტოვებთ უკან ამერიკის ახლანდელ დონეს. ჯერ კიდევ ცოტა ხნის წინათ დასავლეთში ბევრს არ სჯეროდა, რომ შეიძლება ამის მიღწევა და დასცინოდა კიდეც ჩვენს განზრახვას. მაგრამ დროება იცვლება, და ახლა არა მარტო ამერიკელი მეცნიერები და ბიზნესმენები, არამედ თვით პრეზიდენტი კენედი აღიარებს, რომ ჩვენ უფრო სწრაფად ვიზრდებით, ვიდრე ისინი. ახლა ისინი დავობენ მხოლოდ ვადებზე, როდის გავუსწრებთ მათ. რა ვუყოთ, დაე იდავონ. ცხოვრება გვიჩვენებს, ვინ იყო მართალი, — ამის ლოდინი არც ისე დიდხანს დაგვჭირდება.

როცა ჩვენ თქვენთან ერთად მივიღეთ შვიდწლიანი გეგმა, დასავლეთში ატყდა ღვარძლიანი ღმუილი: „ფანტასტიკური გეგმაა!“, „პროპაგანდისტული გეგმაა!“ მაგრამ გავიდა სამი წელი, და რას ვხედავთ? მარტო დავალების გადამეტებით ამ სამ წელიწადში სამრეწველო პროდუქცია წარმოებულია დაახლოებით იმდენი, რამდენიც მთელმა საბჭოთა მრეწველობამ მოგვცა 1937 წელს.

ამხანაგებო! ჩვენი პარტიის პროგრამა აცხადებს, რომ კომუნიზმი საბჭოთა კავშირში ძირითადად აშენდება ოც წელიწადში. დღეს ჩვენ შეგვიძლია ვნახოთ, რა გაკეთდა უკვე საბჭოთა ხალხის გმირული შრომით იმ მცირე დროში, რაც XXII ყრილობის შემდეგ გავიდა.

მარტო უკანასკნელ ოთხ თვეში (1961 წლის ნოემბერი-1962 წლის თებერვალი) სამრეწველო პროდუქცია ჩვენს ქვეყანაში წარმოებულია თითქმის ორჯერ მეტი, ვიდრე მთელ პირველ ხუთწლედში, ანუ მეტი, ვიდრე მთელ 1950 წელს.

მაგალითად, ამ ოთხ თვეში ფოლადი გამოდნობილია 24 მილიონი ტონა, ესე იგი თითქმის ექვსჯერ მეტი, ვიდრე მთელ 1913 წელს.

ნავთობი ამოღებულია 58 მილიონი ტონა, ესე იგი თითქმის ორჯერ მეტი, ვიდრე სსრ კავშირში ვიღებდით დიდი სამამულო ომის დაწყების წინ მთელი წლის განმავლობაში.

ელექტროენერგია ოთხ თვეში გამომუშავებულია დაახლოებით 122 მილიარდი კილოვატ-საათი, ანუ ორნახევარჯერ მეტი, ვიდრე ომამდელ 1940 წელს, და მეტი, ვიდრე მთელ 1952 წელს.

აი რა გიგანტური ნაბიჯებით მიდის საბჭოთა ხალხი კომუნიზმისაკენ!

მოსკოველთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მათ დიდი წვლილი შეაქვთ ჩვენი ქვეყნის მრეწველობის განვითარებაში. მოსკოვის მრეწველობა წარმატებით ასრულებს გეგმას მთლიანად და გადაჭარბებით. კალინინის რაიონის მშრომელებმა აგრეთვე ვადამდე დაამთავრეს გასული წლის გეგმის შესრულება. ჩემთვის, როგორც თქვენი დეპუტატობის კანდიდატისათვის, სასიამოვნოა აღვნიშნო, რომ კალინინის რაიონს პირველი ადგილი უჭირავს დედაქალაქის რაიონებს შორის და სოციალისტურ შეჯიბრებაში პარტიის XXII ყრილობის ღირსეულად შეხვედრისათვის გარდამავალი წითელი დროშა მოიპოვა. წარმატებით შესრულდა მიმდინარე წლის იანვრისა და თებერვლის გეგმა. ნება მიბოძეთ გისურვოთ ასეთივე წარმატებანი შემდგომ მუშაობაშიც.

მაგრამ უნდა ვთქვათ, რომ მოსკოველებს შეეძლოთ უფრო მეტი პროდუქცია მოეცათ, თუ ყველა საწარმო შეასრულებდა გეგმას. სამწუხაროდ, ეს ჯერჯერობით არ არის. შარშან მოსკოვის 39 საწარმომ ვერ შეასრულა საწარმოო გეგმა. უარესად იყო საქმე იანვარ-თებერვალში: სამრეწველო პროდუქციის წარმოების გეგმა ვერ შეასრულა მოსკოვის 75 ქარხანამ და ფაბრიკამ.

ზოგიერთმა შეიძლება იფიქროს, რომ მე, როგორც თქვენი კანდიდატი, წინდახედულად მივმართავ ამას არა თქვენ, ჩემს ამომრჩევლებს, არამედ მოსკოველებს საერთოდ. მაგრამ საიდუმლოდ გეტყვით, რომ ეს თქვენც გეხებათ.

მოდით, ამხანაგო მოსკოველებო, წესრიგი დავამყაროთ საკუთარ სახლში, არ შეგვშვენის კომუნიზმისაკენ მივდიოდეთ და გზაში კი ერთმანეთს ჩამოვრჩეთ, როგორც ზოგჯერ გაიჭიმება ხოლმე გზაში ცუდად გაწვრთნილ ადამიანთა კოლონა — ღონიერები წინ მიდიან, სუსტები კი სადღაც კუდში მისჩანჩალებენ. რამდენად უფრო ადვილი და სახალისოა მივდიოდეთ კომუნიზმისაკენ მჭიდროდ შეკავშირებულ მწკრივად!

ამხანაგებო! ამ წლების მანძილზე სერიოზული წარმატებებია მიღწეული აგრეთვე სოფლის მეურნეობის დარგში. მთელ რიგ უმნიშვნელოვანეს ღონისძიებათა განხორციელების მეოხებით, ისეთების, როგორიც არის სოფლის მეურნეობის პროდუქტების შესასყიდი ფასების გადიდება, მტს-ების რეორგანიზაცია, რის შედეგად კოლმეურნეობებმა შეიძინეს მათთვის საჭირო ტექნიკა, კოლმეურნეთა, საბჭოთა მეურნეობების მუშათა, სოფლის მეურნეობის ყველა მშრომელთა თავდადებული შრომის მეოხებით ჩვენს ქვეყანაში მნიშვნელოვნად გაიზარდა სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოება, გაიზარდა პირუტყვის სულადობა.

მე უკვე ვთქვი ამ ცოტა ხნის წინათ, რომ მარცვლეულის წარმოებამ, მაგალითად, გასულ წელს შეადგინა 8 მილიარდ 380 მილიონი ფუთი, ესე იგი 1953 წელთან შედარებით გაიზარდა 66 პროცენტით; ხორცის წარმოებამ დაკლული წონით მიაღწია 8 მილიონ 800 ათას ტონას, ანუ გადიდდა 500 პროცენტით; კარაქისა — 894 ათას ტონას, ანუ 80 პროცენტით მეტია, ვიდრე 1953 წელს; რძისა — 62 მილიონ 500 ათას ტონას, ანუ 71 პროცენტით მეტია, ვიდრე 1953 წელს.

უკანასკნელ ოთხ წელიწადში ხორცის სახელმწიფო შესყიდვა გადიდდა 45 პროცენტით, რძისა — 38 პროცენტით. ყველაფერი ეს, რა თქმა უნდა, კარგია, მაგრამ სოფლის მეურნეობის განვითარების მიღწეული ტემპები ჩვენ ახლა ვერ დაგვაკმაყოფილებს.

ჩვენ არ შეგვიძლია არ ვითვალისწინებდეთ, ჯერ ერთი იმას, რომ მოსახლეობის რიცხვი სსრ კავშირში ამ წლების მანძილზე 15 მილიონი კაცით გაიზარდა, და მეორეც, მოსახლეობის ფულადი შემოსავალი 33 პროცენტით გადიდდა. გამოდის, რომ ხორცისა და რძის სასაქონლო რესურსები მხოლოდ ცოტა მეტად გაიზარდა, ვიდრე მოსახლეობის ფულადი შემოსავალი.

როგორც იცით, ამას წინათ გაიმართა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი. ვფიქრობ, რომ საჭირო არ არის დაწვრილებით გელაპარაკოთ პლენუმის მუშაობის შესახებ, რადგანაც ამ პლენუმის მასალები ფართოდ გამოქვეყნდა პრესაში. პლენუმმა საფუძვლიანად განიხილა სოფლის მეურნეობის დარგში არსებული მდგომარეობა, დასახა კონკრეტული გზები იმისათვის, რომ კომუნისტური მშენებლობის დიადი პროგრამა წარმატებით შესრულდეს სასოფლო-სამეურნეო წარმოების დარგშიც. მაგრამ ამისათვის ყოველმა ჩვენგანმა კარგად უნდა იშრომოს.

მე უკვე არაერთხელ მილაპარაკნია შრომის ნაყოფიერების გადამწყვეტი მნიშვნელობის შესახებ, რომელიც პროგრესის საზომი და ხალხის ცხოვრების დონის ამაღლების უმნიშვნელოვანესი წყაროა. როგორც ცნობილია, 20 წლის პერიოდში მატერიალური წარმოების საერთო მოცულობა ჩვენს ქვეყანაში უნდა გადიდდეს დაახლოებით ხუთჯერ, ესე იგი 400 პროცენტით. ამასთან მუშაკთა რიცხვი მხოლოდ 40 პროცენტით გაიზრდება.

რით შეგვიძლია ხუთჯერ გავადიდოთ მატერიალური წარმოების მოცულობა? მხოლოდ საზოგადოებრივი შრომის ნაყოფიერების გადიდების გზით! ჩვენმა მეცნიერებმა, ეკონომისტებმა საჭირო გაანგარიშება მოახდინეს და იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ მრეწველობაში შრომის ნაყოფიერების დასახული ზრდა 4-4,5-ჯერ და სოფლის მეურნეობაში — 5-6-ჯერ სავსებით რეალურია, რადგანაც ამ ზრდას უზრუნველყოფს მეცნიერებისა და ტექნიკის უმაგალითო განვითარება, კადრების კვალიფიკაციის მნიშვნელოვანი ამაღლება და შრომის რესურსების უფრო რაციონალური გამოყენება.

ამ ამოცანის გადაჭრა გაადვილდება იმასთან დაკავშირებით, რომ ძირეულად შეიცვლება საბჭოთა ადამიანების დამოკიდებულება შრომისადმი. შრომა სულ უფრო ხდება თვითეული საბჭოთა ადამიანის საარსებო საჭიროება. შრომისადმი ეს ახალი დამოკიდებულება უკვე თვალნათლივ გამოვლინდა კომუნისტური შრომის ბრიგადების, საამქროებისა და საწარმოების შექმნისათვის მასობრივი მოძრაობით.

ამხანაგებო! უმაღლესი საბჭოს ახალ არჩევნებს რომ ეგებებიან, კომუნისტური პარტია, მისი ცენტრალური კომიტეტი, საბჭოთა მთავრობა ანგარიშს აბარებენ ხალხს გეგმების შესრულების შესახებ ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესების დარგშიც. ოთხ წელიწადში ჩვენი ქვეყნის ეროვნული შემოსავალი 38 პროცენტით გაიზარდა, ხოლო ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით — 29 პროცენტით. ამავე პერიოდში ეროვნული შემოსავალი ამერიკის შეერთებულ შტატებში მხოლოდ 9 პროცენტით გაიზარდა, ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით კი — სულ 2 პროცენტით.

ეროვნული შემოსავლის ზრდის საფუძველზე გადიდდა მშრომელთა რეალური შემოსავალი. ამ ხნის განმავლობაში განხორციელდა სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგის მუშა-მოსამსახურეთა ხელფასის მოწესრიგება. ამასთან გადიდდა მუშა-მოსამსახურეთა, განსაკუთრებით მცირეხელფასიან მუშაკთა შრომის ანაზღაურება. ახლა შრომის ანაზღაურების ახალ პირობებში მუშაობს უკვე 40 მილიონზე მეტი მუშა და მოსამსახური. შვიდწლედის ბოლომდე ხელფასის მინიმუმი გადიდდება დაახლოებით 50-60 მანეთამდე თვეში, ამასთან გაიზრდება ხელფასის ოდენობა არა მარტო მცირეხელფასიანი, არამედ საშუალო ხელფასიანი მუშებისა და მოსამსახურეებისთვისაც.

ამ წლებში მნიშვნელოვნად გაიზარდა კოლმეურნეთა შემოსავალიც.

მუშა-მოსამსახურეთა ხელფასისა და კოლმეურნეთა ფულადი შემოსავლის ზრდასთან ერთად დიდი ოდენობით გაიზარდა მოსახლეობის შემოსავალი საზოგადოებრივი ფონდების ხარჯზე. სახელმწიფოს ხარჯზე ყველა გადასახდელისა და შეღავათის—პენსიების, დახმარების, სტიპენდიების, უფასო სწავლების, უფასო სამედიცინო მომსახურებისა და სხვათა საერთო თანხამ 1961 წელს 26 მილიარდ 400 მილიონი მანეთი შეადგინა და 30 პროცენტით მეტი იყო, ვიდრე 1957 წელს.

ამ წლებში განხორციელებული ერთ-ერთი უდიდესი სოციალური ღონისძიება იყო მუშა-მოსამსახურეთა გადაყვანა შვიდი და ექვსი საათის სამუშაო დღეზე. ამის შედეგად სამუშაო კვირის ხანგრძლივობა ექვსსაათნახევრით შემცირდა. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ამასთან მუშა-მოსამსახურეთა ხელფასი არათუ არ შემცირებულა, არამედ მათ მნიშვნელოვან ნაწილს კიდევაც გაუდიდდა.

დიდი წარმატებებია მოპოვებული სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების გადიდებაში. ამას ყველა საბჭოთა ადამიანი გრძნობს. ამჟამად ამოცანა ის არის, რომ სახალხო მოხმარების საქონლის გამოშვების გადიდებასთან ერთად მკვეთრად გავაუმჯობესოთ მისი ხარისხი, გავაფართოოთ ასორტიმენტი.

ჩვენს ქვეყანაში წლითიწლობით ფართოვდება საბინაო მშენებლობა. მარტო განვლილ ოთხ წელიწადში ქალაქებსა და მუშათა დაბებში აშენებულია ახალი საცხოვრებელი სახლები, რომელთა საერთო ფართობი 315 მილიონი კვადრატული მეტრია, ანუ დაახლოებით 9 მილიონი კეთილმოწყობილი ბინა. ეს თითქმის ერთიორად მეტია, ვიდრე მეფის რუსეთის მთელი საქალაქო საბინაო ფონდი იყო 1913 წელს. ამავე ხნის განმავლობაში კოლმეურნეებმა და სოფლის ინტელიგენციამ ააშენეს 2 მილიონ 600 ათასი საცხოვრებელი სახლი სოფლად. უკანასკნელ ხუთ წელიწადში ახალი ბინა მიიღო 50 მილიონმა საბჭოთა ადამიანმა — მთელი მოსახლეობის თითქმის მეოთხედმა!

თუ ავიღებთ ჩვენი სამშობლოს დედაქალაქს — მოსკოვს, აქ უკანასკნელ ოთხ წელიწადში აშენდა უფრო მეტი ახალი ბინა, ვიდრე რევოლუციამდე იყო. მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ თანამედროვე კეთილმოწყობილი ბინები სულაც არა ჰგავს ძველ საცხოვრებელს, რომელსაც ელემენტარული კეთილმოწყობა არ ჰქონდა.

საბინაო მშენებლობის ასეთი უდიდესი გაქანება შესაძლებელი გახდა მხოლოდ იმის მეოხებით, რომ პარტია და მთავრობა შეუნელებელ ყურადღებას უთმობენ საბინაო მშენებლობას და წარმართავენ მას თანამედროვე ინდუსტრიულ საფუძველზე.

საბჭოთა ადამიანები დიდ კმაყოფილებას განიცდიან სამამულო მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარებაში მოპოვებული შესანიშნავი წარმატებებით, ხარობენ ჩვენი ქვეყნის კულტურის შემდგომი აღმავლობით. ამისათვის ყველა საფუძველი გვაქვს, ამხანაგებო.

ჩვენმა უმაღლესმა სასწავლებლებმა და ტექნიკუმებმა, მაგალითად, განვლილ ოთხ წელიწადში მოამზადეს 3 მილიონ 300 ათასი უმაღლესი და საშუალო კვალიფიკაციის სპეციალისტი, ესე იგი 550 ათასით მეტი, ვიდრე წინა ოთხ წელიწადში.

არ შეიძლება სიამაყით არ ვილაპარაკოთ იმაზე, რომ სსრ კავშირის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მოსწავლეთა რიცხვი ამ ხნის განმავლობაში 8,5 მილიონი კაცით გაიზარდა. თუ რას ნიშნავს ეს, ამას დამაჯერებლად ცხადყოფს ის ფაქტი, რომ რევოლუციამდელი რუსეთის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების ყველა მოსწავლის რიცხვი შეადგენდა 9,7 მილიონ კაცს. გამოდის, რომ განვლილ ოთხ წელიწადში ჩვენ განათლება მივაღებინეთ დაახლოებით იმდენსავე კაცს, რამდენიც ოქტომბრის რევოლუციამდე მთელ ჩვენს ქვეყანაში სწავლობდა.

საბჭოთა მეცნიერებისა და ტექნიკის შემოქმედებითი მიღწევების დაგვირგვინება იყო ისეთი ისტორიული მონაპოვრები, როგორიც არის მსოფლიოში პირველი დედამიწის ხელოვნური თანამგზავრების გაშვება.

როცა აქ აკადემიკოსი ა. ი. იშლინსკი გამოდიოდა, მე უკვე ვთქვი, რომ დღეს დღის სამ საათზე ჩვენ გავუშვით კიდევ ერთი ხელოვნური თანამგზავრი, და იგი ახლა ფრინავს დედამიწის გარშემო.

ჩვენ კოსმოსში გავუშვით ადამიანის გენიითა და შრომით შექმნილი პირველი ხელოვნური პლანეტა, მსოფლიოში პირველი კოსმოსური ხომალდები, რომლებითაც ჩვენმა გმირებმა ი. ა. გაგარინმა და გ. ს. ტიტოვმა განახორციელეს თავიანთი უკვდავი გაფრენები დედამიწის გარშემო. ყველა ეს, ისევე როგორც მრავალი სხვა დიადი მიღწევა სამარადისოდ შევა მსოფლიო მეცნიერებისა და ტექნიკის ოქროს ფონდში.

სასახელო და საპატიო საბჭოთა სახალხო ინტელიგენციის შრომა ჩვენი საზოგადოების ცხოვრებაში. და ჩვენც ყოველ ღონეს ვიხმართ იმისათვის, რომ მეცნიერება და ტექნიკა, ხალხის სოციალისტური კულტურა კვლავაც ვითარდებოდეს ისეთივე სწრაფი ტემპებით, უჩვენებდეს კაცობრიობას იმის მაგალითს, თუ რა საგმირო საქმეების განხორციელება შეუძლია კომუნიზმის მშენებელ დიდ ხალხს.

ახალ პროგრამას რომ ამუშავებდა, ჩვენი პარტია ემყარებოდა მარქსის, ენგელსის, ლენინის მიერ აღმოჩენილ საზოგადოებრივი განვითარების კანონებს. მარქსისტი ლენინელები სამყაროს დიდი რევოლუციური გარდამქმნელები არიან. ისინი უწინარეს ყოვლისა მატერიალისტები არიან თავიანთი მსოფლმხედველობით და თავიანთ პოლიტიკას საფუძვლად უდებენ ხალხის მასების ძირეული ინტერესების, მათი ცხოვრების ეკონომიური პირობების ღრმა გაგებას.

მარქსმა რევოლუციური გადატრიალება მოახდინა მეცნიერებაში, მსოფლიო ისტორიის გაგებაში, როცა აღნიშნა ის თვალსაჩინო ფაქტი, რომ ადამიანებს უწინარეს ყოვლისა სჭირდებათ ჭამა, სმა, ბინა, რომ მათ უნდა იშრომონ, სანამ ხელს მოჰკიდებენ პოლიტიკას, ფილოსოფიას, რელიგიას. მან ცხადყო, რომ კაპიტალისტურ საზოგადოებას არ ძალუძს შეუქმნას ხალხის მასებს უზრუნველყოფილი ცხოვრების პირობები, რომ კაცობრიობის უდიდესი უმრავლესობა ექსპლოატატორთა ბატონობის პირობებში გარდუვალად განწირულია იძულებითი შრომისა და უბადრუკი არსებობისათვის.

მარქსისტულმა მოძღვრებამ შეაიარაღა საერთაშორისო მუშათა კლასი საზოგადოების განვითარების პერსპექტივების სწორი გაგებით, უჩვენა სწორი გზა სოციალიზმისაკენ, კომუნიზმისაკენ — ყველაზე სამართლიანი საზოგადოებრივი წყობილებისაკენ. მარქსმა, ენგელსმა, ლენინმა პირველად ცხადყვეს, რომ მხოლოდ სოციალიზმის დროს, მთელი წარმოების გეგმიანი ორგანიზაციის გზით არის შესაძლებელი საზოგადოების საწარმოო ძალების ზრდა და მათ მიერ შექმნილი პროდუქტების გადიდება ისეთ ოდენობამდე, რომელიც საშუალებას მისცემს ადამიანებს უზრუნველყონ თავიანთი მუდმივ მზარდი გონივრული მოთხოვნილებანი. ასეთი საზოგადოების აშენება შეუძლია მხოლოდ თავისუფალ ხალხს — ისტორიის ნამდვილ შემოქმედს.

ვ. ი. ლენინის ანდერძის ერთგულ ჩვენს პარტიას მთელი თავისი საქმიანობის აზრად მიაჩნია ის, რომ განახორციელოს მისი დიადი იდეები — ააშენოს კომუნისტური საზოგადოება, უზრუნველყოს მტკიცე და სამართლიანი მშვიდობა, სრულად დააკმაყოფილოს ხალხის ყველა მატერიალური და სულიერი მოთხოვნილება.

ამ კეთილშობილურ მიზანს ექვემდებარება კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნის, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის, მეცნიერებისა და კულტურის განვითარების კონკრეტული ამოცანები, რომლებიც ჩამოყალიბებულია ჩვენს პროგრამაში, რათა ამ საფუძველზე უზრუნველყოფილ იქნას საბჭოთა კავშირში ხალხის ყველაზე მაღალი ცხოვრების დონე კაპიტალიზმის რომელიც უნდა იყოს ქვეყანასთან შედარებით.

სასიამოვნო და სასიხარულოა აღინიშნოს, რომ საბჭოთა ხალხი მხურვალე მოწონებით შეხვდა ლენინური პარტიის გრანდიოზულ პროგრამას, რომელშიც მარქსისტულ-ლენინურმა მოძღვრებამ შემდგომი შემოქმედებითი განვითარება ჰპოვა. მთელმა ხალხმა დაუყოვნებლივ მოჰკიდა ხელი ამ პროგრამის პრაქტიკულ განხორციელებას რათა მოაახლოოს კომუნიზმის დიადი გამარჯვება. ეს კიდევ ერთი დამაჯერებელი დადასტურებაა იმისა, რომ პარტიის საქმე და ხალხის საქმე განუყოფელია.

ძვირფასო ამხანაგებო! ძნელი არ არის შევაფასოთ ჩვენი მიღწევები სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში: პროდუქციის რაოდენობა და ხარისხი, ახალშენებათა კორპუსები, ხალხის კეთილდღეობის, კულტურისა და განათლების დონე — ყოველივე ეს გამოხატულებას პოულობს ციფრების ზუსტი ენით. ეტყობა, უფრო ძნელია გამოვნახოთ საზომი, რომლის საშუალებითაც შესაძლებელი იქნება აგრეთვე თვალსაჩინოდ და ზუსტად გამოვხატოთ ის, რაც მიღწეულია საერთაშორისო საქმეებში. მაგრამ აქაც არის თავისი უდავო მაჩვენებლები.

ჩვენი საგარეო პოლიტიკის მთავარი მონაპოვარი, — და საბჭოთა ადამიანებს შეუძლიათ ამ მონაპოვრით ისევე იამაყონ, როგორც სახალხო-სამეურნეო გეგმების წარმატებითი შესრულებით, — არის მშვიდობა, რომელიც თან ახლავს კომუნისტური საზოგადოების გაშლილ მშენებლობას ჩვენს ქვეყანაში.

მართალია, ვითარება მსოფლიოში კვლავ რთული და დაძაბულია. იმპერიალისტური სახელმწიფოების აგრესიულ წრეებს, რომლებსაც აშინებს სოციალისტური ქვეყნების წარმატებები, ხელი არ აუღიათ ამ ფიქრზე, რომ იარაღი აამოქმედონ. მაგრამ დიდი ხანია წავიდა ის დრო, როცა მათ შეეძლოთ შეუკავებლად გამოეჩინათ თვითნებობა საერთაშორისო საქმეებში. ახლა იმპერიალისტები იძულებული არიან წინდახედულად იმოქმედონ. ისინი აღარ არიან ატომური იარაღისა და სხვა სახეობათა თანამედროვე იარაღის მონოპოლისტები. საბჭოთა კავშირს ყოველივე ეს საკმარისი რაოდენობით მოეპოვება, ამასთან ჩვენ გვაქვს ატომური იარაღის მიტანის უკეთესი საშუალებანი — მძლავრი საკონტინენტთაშორისო რაკეტები. ჩვენს დროში უგუნური უნდა იყო, რომ ომი გააჩაღო სოციალიზმის ქვეყნების წინააღმდეგ. ასეთი ნაბიჯის გადადგმა იმპერიალისტებისათვის თვითმკვლელობის მომასწავებელი იქნება, რადგან ჩვენ საკმარისი საშუალებანი მოგვეპოვება, რათა მოვსპოთ ყოველი აგრესორი. იმპერიალისტები იძულებული არიან ანგარიში გაუწიონ სოციალისტური ბანაკის ძლიერებას, მშვიდობისმოყვარე ძალებს მთელ მსოფლიოში.

საბჭოთა კავშირი, ყველა მშვიდობისმოყვარე ხალხი განუხრელად იბრძვიან მშვიდობის განმტკიცებისათვის, კარდინალური საერთაშორისო პრობლემების გადაჭრისათვის. ეს პრობლემები, და უწინარეს ყოვლისა გერმანიის საზავო ხელშეკრულების დადების საკითხი, საყოველთაო და სრული განიარაღების პრობლემა, კოლონიალიზმის ყველა ფორმისა და გამოვლინების ლიკვიდაციის საკითხი ხალხთა ყურადღების ცენტრშია.

დიდმნიშვნელოვანი, შეიძლება ითქვას, მბრძანებლური მაღლობი, რომელიც უნდა ავიღოთ მტკიცე მშვიდობის გზაზე, არის გერმანიის საზავო ხელშეკრულების დადება და ამ საფუძველზე დასავლეთ ბერლინის საკითხის გადაჭრა.

საბჭოთა კავშირის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, სხვა სოციალისტური სახელმწიფოების პოზიცია, რომლებიც ცენტრალურ ევროპაში მდგომარეობის ნორმალიზაციისათვის იბრძვიან, უაღრესად ნათელია. ჩვენ ვემყარებით იმ მდგომარეობას, რომელიც ფაქტიურად შეიქმნა ჰიტლერული გერმანიის განადგურების შემდეგ, ვემყარებით იმას, რომ არსებობს ორი სუვერენული გერმანული სახელმწიფო და ომის შემდეგ დაწესებული საზღვრები.

ჩვენ კარგად გვესმის და აქტიურად ვუჭერთ მხარს ბრძოლას, რომელსაც ეწევა ჩვენი მოკავშირე — გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა თავისი საერთაშორისო პოზიციების განმტკიცებისათვის, თავისი სუვერენიტეტის დამკვიდრებისათვის. შეიძლება კმაყოფილებით ვთქვათ, რომ ამ დაძაბული ბრძოლის მსვლელობაში უკვე მიღწეულია სერიოზული წარმატებანი. ახლა დასავლეთის სახელმწიფოთა ბევრი პოლიტიკური მოღვაწე იძულებულია სულ უფრო მეტად გაუწიოს ანგარიში იმ ისტორიულ ფაქტს, რომ არსებობს ორი გერმანული სახელმწიფო, რომელთაგან ერთი სოციალისტური გზით ვითარდება და კვლავაც განვითარდება.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სუვერენიტეტის დამკვიდრებისათვის განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ჰქონდა დამცავ ღონისძიებებს დასავლეთ ბერლინის საზღვრებზე, რაც გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ განახორციელა შარშან აგვისტოში. ამით გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ განახორციელა თავისი სუვერენული უფლებები საკუთარი საზღვრების უშიშროების დასაცავად. ბრანდენბურგის კართან სოციალისტური გერმანიის მუშებმა და გლეხებმა ერთხელ კიდევ დაანახვეს დასავლეთგერმანელ რევანშისტებსა და მილიტარისტებს, დასავლეთბერლინელ პროვოკატორებს, რომ აღმოსავლეთის გზა მათთვის სამუდამოდ დახშულია. ეს იყო სერიოზული მიღწევა, რომლის მეოხებით საბჭოთა კავშირს, გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკას, სოციალიზმის ყველა ქვეყანას შეეძლოთ კიდევ უფრო მტკიცე პოზიციებიდან განეგრძოთ ბრძოლა საზავო ხელშეკრულებისათვის.

თქვენ იცით, საბჭოთა მთავრობამ განაცხადა, რომ იგი არ იცავს გერმანიის საზავო ხელშეკრულების დადების რაღაც ფატალურ ვადებს. საბჭოთა მთავრობამ ეს იმისათვის განაცხადა, რომ უკეთესი პირობები შექმნას გერმანიის საკითხზე აზრთა ურთიერთგაზიარებისა და მოლაპარაკებისათვის. ჩვენი სურვილია გადავჭრათ მეორე მსოფლიო ომისაგან მემკვიდრეობად მიღებული საკითხები, დავდოთ გერმანიის საზავო ხელშეკრულება, ამ საფუძველზე გადავაქციოთ დასავლეთი ბერლინი თავისუფალ დემილიტარიზებულ ქალაქად, აღმოვფხვრათ იქ საოკუპაციო რეჟიმი. ჩვენ გვინდა მივაღწიოთ ამას ყველა სხვა ქვეყანასთან ერთად, რომლებიც ჰიტლერული გერმანიის წინააღმდეგ ომობდნენ. ეს დიდი წვლილი იქნება საერთაშორისო დაძაბულობის შენელებისათვის და მთელ მსოფლიოში მშვიდობის უზრუნველყოფისათვის ხალხთა ბრძოლის საერთო საქმეში. ასეთი მოწესრიგება ხელ-ფეხს შეუკრავს დასავლეთგერმანელ მილიტარისტებს, რომლებსაც რევანში სწყურიათ, და გარკვეულზომით ხელს შეუწყობს თანამშრომლობის სულისკვეთების აღდგენას წარსულ ომში ყოფილ მოკავშირეთა შორის.

აი ამიტომ საბჭოთა მთავრობა დროსა და შრომას არ იშურებს, რათა დააჯეროს დასავლეთის სახელმწიფოები მონაწილეობა მიიღონ გერმანიის მშვიდობიან მოწესრიგებაში. მაგრამ სავსებით გარკვეულად უნდა ითქვას, რომ სერიოზულად ცდებიან ისინი, ვისაც იმედი აქვს უსასრულოდ გააჭიანუროს ამ დიდმნიშვნელოვანი საკი-

(გაგრძელება მე-4 გვერდზე)

ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვა

(გაგრძელება)

თხის გადაჭრა. ეს საკითხი უნდა გადაიჭრას და კიდევაც გადაიჭრება.

უკვე საკმაოდ დიდი ხანია საბჭოთა კავშირსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის დამყარებულია კონტაქტები საკითხებზე, რომლებიც გერმანიის საზავო ხელშეკრულებას ეხება. ვერ ვიტყვით, რომ ამერიკის წარმომადგენლები, და ამერიკის შეერთებული შტატების ნატოელი მოკავშირეები, რომელნიც თითქოს უჩინრად ესწრებიან ამ კონტაქტებს, სად პოზიციას ადგანან.

არ მინდა დაწვრილებით ვილაპარაკო აზრთა ურთიერთგაზიარებაზე, რამდენადაც იგი ჯერ არ დამთავრებულა. ვიტყვი მხოლოდ, რომ ჩვენს პარტნიორებთან, როგორც ჩანს, საერთო ენის გამოსანახავად ფუთი მარილის შეჭმაც ცოტა ყოფილა. აი რა სახისაა დაახლოებით მათთან წარმოებული საუბრები.

ჩვენ ვეუბნებით: თუ თქვენ არ გინდათ დადოთ გერმანიასთან საზავო ხელშეკრულება ჩვენთან ერთად, რაც საუკეთესო გადაწყვეტა იქნება, საბჭოთა კავშირი და სხვა სახელმწიფოები იძულებული გახდებიან ხელი მოაწერონ საზავო ხელშეკრულებას გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკასთან.

ჩვენი თანამოსაუბრენი გვიპასუხებენ: მოითმინეთ, ჩვენ თანახმა ვართ თქვენთან ერთად ვეძებოთ იმ საკითხების გადაჭრა, რომლებიც უნდა მოწესრიგდეს გერმანიის საზავო ხელშეკრულების დადებისას, თუმცა მისი პირდაპირი მონაწილენი არ ვიქნებით. როცა ამ საკითხების შეთანხმებული გადაჭრა გამოინახება, თქვენ, ესე იგი, საბჭოთა კავშირმა, ხელი მოაწერეთ საზავო ხელშეკრულებას გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკასთან და ასახეთ იქ ჩვენს შორის მიღწეული შეთანხმებაო.

რა გაეწყობა, როგორც იტყვიან, უარეს შემთხვევაში შეიძლება დავეთანხმოთ ასეთ მიდგომას. მაგრამ როგორც კი დაიწყება საუბარი არსებითად, ჩვენი პარტნიორების თვალთახედვის არე არაჩვეულებრივად ვიწროვდება. იმ საკითხთა კომპლექსის ნაცვლად, რომლებიც წამოიჭრება ხოლმე მშვიდობიანი მოწესრიგების დროს, რომლებიც კარგად არის ცნობილი და რომელთა შორის უნდა დავასახელოთ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სუვერენულ უფლებათა აღიარება და პატივისცემა, ჩვენი პარტნიორები ხედავენ მხოლოდ საკითხს დასავლეთ ბერლინში შესვლის შესახებ. აი სწორედ ამაზე ატყვიან, რიყეზე ქვას ვერ ხედავსო.

საბჭოთა მთავრობის საგარეოპოლიტიკური საქმიანობის აქტივში ჩვენ სრული საფუძვლით შეგვიძლია შევიტანოთ ის ფაქტი, რომ უკანასკნელი წლების მანძილზე საბჭოთა კავშირს ხელიდან არ გაუშვია ინიციატივა განიარაღების პრობლემის გადაჭრის გამოსანახავად. რა თქმა უნდა, განიარაღების გზა ტოლი გზა არ არის. მაგრამ თუ განიარაღების იდეა დაეუფლა ასეულ მილიონობით ადამიანის გონებას, ეს უწინარეს ყოვლისა დამსახურებაა ჩვენი ქვეყნისა, რომელმაც ორ წელიწადნახევრის წინათ წამოაყენა საყოველთაო და სრული განიარაღების პროგრამა და მას შემდეგ ენერგიულად იცავს ამ პროგრამას.

თანამედროვე ატომურ საშუალებათა საშინელი დამანგრეველი ძალა, დედამიწის ყოველ პუნქტში ამ საშუალებათა მიტანის შესაძლებლობა დღეს ისეთი დამაჯერებელი არგუმენტებია, რომ არ შეიძლება ადამიანის გონებამ არ მოითხოვოს განიარაღების პრობლემის რაც შეიძლება მალე გადაჭრა.

შესაძლებელია თუ არა შეთანხმება განიარაღების შესახებ? დიახ, შესაძლებელია. საბჭოთა კავშირის პოზიციას კარგად იცნობს მსოფლიო საზოგადოებრიობა: ჩვენ მომხრე ვართ საყოველთაო და სრული განიარაღებისა უაღრესად მტკიცე საერთაშორისო კონტროლით.

მაგრამ, ჩანს, იმათ, ვინც განსაზღვრავს დასავლეთის სახელმწიფოთა პოლიტიკას, და უწინარეს ყოვლისა ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკას, იმათ, ვისზეც დამოკიდებულია განიარაღების შესახებ შეთანხმების მიღწევა, ვერ შეუგნიათ გამალებული შეიარაღების მთელი საშიშროება, ვერ შეუგნიათ, თუ რა ხასიათისა იქნება ომი თანამედროვე პირობებში. ორ მსოფლიო ომში ამერიკის შეერთებული შტატები თავიანთ მოკავშირეებთან ერთად გამარჯვებული გამოვიდნენ. მაგრამ ამერიკის შეერთებულ შტატებს ამასთან მინიმალური დანაკარგები ჰქონდათ. ამერიკის მრეწველობა უზომოდ იზრდებოდა სამხედრო შეკვეთების შედეგად, ხოლო მონოპოლიები უზარმაზარ მოგებას იღებდნენ. ჩანს, ამერიკელმა მონოპოლისტებმა არც ახლა თქვეს უარი ახალი ომით გამდიდრების პერსპექტივაზე. ეს არ აძლევს მათ შესაძლებლობას სწორად გაიგონ ის საბედისწერო როლი, რომელსაც ასრულებენ.

უნდა ითქვას, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მოსახლეობას უკანასკნელ საუკუნეში არ განუცდია თავის ტერიტორიაზე ომის გაჭირვება, და ამიტომ ამერიკელებს მეტ წილად ჯერ კიდევ ცუდად ესმით, რა მოხდება, თუ ატყდა ომი, და რა საშინელ უბედურებას მოუტანს იგი ყველა ხალხს, მათ შორის ამერიკელ ხალხსაც.

დიდი ხანია წავიდა ის დრო, როცა ამერიკის შეერთებულ შტატებს შეეძლოთ ჩაეთვალათ, რომ დასაზიანებლად მიუწვდომელი არიან ომში, რომ სხვა კონტინენტებზე საომარი მოქმედების ასპარეზისაგან დაცული არიან ოკეანის უზარმაზარი სივრცეებით. თანამედროვე პირობებში ისინი ისევე მისაწვდომი არიან დასაზიანებლად, როგორც მსოფლიოს ყველა სხვა ქვეყანა.

ახლა მდგომარეობა კიდევ უფრო იცვლება. ჩვენმა მეცნიერებმა და ინჟინრებმა შექმნეს ახალი საკონტინენტთაშორისო რაკეტა, რომელსაც გლობალური უწოდეს; ამ რაკეტას ზიანს ვერ მიაყენებს რაკეტის საწინააღმდეგო იარაღი.

ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო წრეებს სურდათ დაეცვათ თავი რაიმე ბარიერით საბჭოთა კავშირის საპასუხო დარტყმისაგან. ამისათვის მათ შექმნეს რადარულ და სხვა დანადგართა სისტემა იმ ვარაუდით, რომ ფრენის დროს ხელთ ეგდოთ რაკეტები, რომლებიც, მაგალითად, ჩრდილოეთი პოლუსით, ესე იგი უმოკლესი ხაზით ფრენენ. ახალ გლობალურ რაკეტებს შეუძლიათ იფრინონ დედამიწის გარშემო ყოველი მიმართულებით და დარტყმა მიაყენონ ყოველ გათვალისწინებულ მიზანს. გაანგარიშების სიზუსტეს მოწმობს „აღმოსავლეთ-1“ და „აღმოსავლეთ-2“ კოსმოსური ხომალდების ფრენის მაგალითი.

ასე რომ უზარმაზარმა კაპიტალმა, რომელიც ამერიკის შეერთებულმა შტატებმა მოახმარეს ლოკატორების სისტემისა და გაფრთხილების სხვა საშუალებათა შექმნას, სარგებლობა არ მოიტანა. ყოველივე ამან ახლა თავისი მნიშვნელობა დაკარგა, რადგან რაკეტებს შეუძლიათ მიფრინდნენ ამერიკის შეერთებული შტატების ტერიტორიაზე არა იმ მიმართულებით, რომელზეც მდებარეობს ეს დანადგარები.

ეტყობა, ამერიკის მზვერავი თვითმფრინავი „უ-2“ პაუერსისა შემთხვევით როდი მიფრინავდა პაკისტანიდან სვერდლოვსკისაკენ, რათა ენახა ეს რაიონი, რადგან ფიქრობდა, რომ იქ არის ჩვენი საკონტინენტთაშორისო რაკეტების ბაზები. მათი ვარაუდით, ეს ყველაზე მოკლე ხაზია იმისათვის, რომ საკონტინენტთაშორისო რაკეტები დავუშინოთ ამერიკის შეერთებული შტატების ტერიტორიას. მაგრამ თუნდაც დავუშვათ, რომ ამერიკელ სამხედროებს სწორი ვარაუდი ჰქონდათ, ახლა მათი ვარაუდი არაფრად არ ვარგა. ჩვენ შეგვიძლია რაკეტები გავუშვათ არა ჩრდილოეთი პოლუსით, არამედ საწინააღმდეგო მიმართულებით. როგორც ხალხში ამბობენ — შენ მას კარიდან მოელი, ის კი ფანჯარაში მოძვრებაო.

გლობალურ რაკეტებს შეუძლიათ მიფრინდნენ ოკეანეების მხრიდან ან სხვა მიმართულებიდან, სადაც შეუძლებელია გაფრთხილების რაიმე საშუალების დადგმა. გარდა ამისა, გლობალური რაკეტის არსებობის პირობებში გაფრთხილების საშუალებებმა საერთოდ დაკარგეს მნიშვნელობა.

გლობალური რაკეტების დროზე აღმოჩენა არ შეიძლება, რათა მომზადდეს რაღაც ღონისძიებანი ამ რაკეტების წინააღმდეგ. და საერთოდ სახსრები, რომლებიც ამერიკის შეერთებულ შტატებში იხარჯება რაკეტის საწინააღმდეგო სისტემების შექმნაზე, ტყუილუბრალოდ დახარჯული ფულია, როგორც სწორად თქვა ამერიკის შეერთებული შტატების თავდაცვის მინისტრმა მაკნამარამ, რადგან ისინი ვერ ამართლებენ თავიანთ დანიშნულებას. ამას მე კი არ ვამბობ, ეს მაკნამარამ თქვა.

ამიტომ ომის თავიდან აცილების ყველაზე გონივრული საშუალება განიარაღებაა. ყველაზე გონივრული პოლიტიკაა შეიგნო ხალხთა ინტერესები, გაიმსჭვალო იმ შეგნებით, რომ შეთანხმება განიარაღების შესახებ საჭიროა და უნდა დაიდოს.

ვიმეორებ, მასობრივი მოსპობისაგან ყველაზე რეალური გაფრთხილებაა შეთანხმება განიარაღების, გამალებული შეიარაღების შეწყვეტისა და უკვე შექმნილი იარაღის უზარმაზარი მარაგის მოსპობის შესახებ. საბჭოთა კავშირი ყოველ ღონეს ხმარობდა და იხმარს, რომ მიაღწიოს ამას. ახლა უფრო, ვიდრე ოდესმე, ქვეყნების ურთიერთობაში უნდა გამოვლინდეს რეალისტური მიდგომა, რათა არ დავუშვათ კატასტროფა, რაც შეიძლება მოჰყვეს თერმოატომურ ომს.

უბედურება ის არის, ამხანაგებო, რომ კაპიტალისტურ სამყაროში ასე მიაჩნიათ: ვინც მდიდარია ჭკვიანიც იგია, ვინც ღარიბია, ის სულელია. ამერიკის შეერთებული შტატების მონოპოლისტები მართლაც მდიდარი, ძლიერი არიან, ამიტომ ისინი მიჩვეული არ არიან ელაპარაკონ ვინმეს როგორც ტოლს. ისინი მიჩვეული არიან ზოგნი დახოცონ, ზოგნი მოისყიდონ, და კაპიტალისტურ სამყაროში ასე იყო მიჩნეული: რაც ამერიკის მონოპოლისტებმა თქვეს, ის კანონია. მაგრამ აი გამოჩნდა საბჭოთა კავშირი, გამოჩნდნენ სოციალისტური ქვეყნები, რომლებიც თავიანთ დამოუკიდებელ პოლიტიკას ახორციელებენ. მონოპოლისტებს კი სურთ ძველი ცნობებით იაზროვნონ: საბჭოთა კავშირი — ეს ხომ იგივე ქალამნიანი რუსეთია. ჩვენ მას ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ 16 წელიწადს არ ვცნობდით.

მაგრამ ჩვენ ქალამნები რახანია მუზეუმს ჩავაბარეთ. ჩვენმა კოსმოსურმა ხომალდებმა პირველმა შეაღწიეს კოსმოსურ სივრცეში. ეს ქალამნიანი რუსეთი აღარ არის, არამედ XX საუკუნის რუსეთია! ეს სოციალისტური სახელმწიფოა, რომელსაც მოწინავე მეცნიერება და ტექნიკა აქვს.

ამერიკელ მონოპოლისტებს არ სურთ შეიგნონ ეს. ისინი ამბობენ: ჩვენ ყოვლადძლიერი ვართ, ეს წარსულ ომში ცხადვყავითო! შეიძლება ასეთ ვაჟბატონებს ვუთხრათ: გეთაყვათ, წარსულ ომში ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ცოცხალი ძალის შედარებით მცირე დანაკლისი განიცადა.

ამერიკელი იმპერიალისტები ყოველთვის ცდილობდნენ ფულით, კაპიტალით გამოესყიდათ თავი. ახლა გაიგეთ ბატონებო, — მივმართავ იმათ, ვინც განსაზღვრავს ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკას, — თანამედროვე პირობებში აღარ არის რაიმე განსხვავება, ერთი მხრივ, იმ ქვეყნის საზღვარზე მდებარე ქალაქს, რომელთანაც გინდა ომი აწარმოო და, მეორე მხრივ, ქვეყნის მეორე მხარეზე მდებარე ქალაქს შორის. საკონტინენტთაშორისო რაკეტებისათვის მანძილს მნიშვნელობა არა აქვს: სადაც გაგზავნის ადამიანი რაკეტას, ზუსტად იქ მოხვდება.

რატომ ვამბობ ამას? ჩვენ კარგად გვესმის, თუ რა საფრთხეს წარმოადგენს გამალებული შეიარაღება კაცობრიობისათვის, და ამიტომ ვეუბნებით დასავლეთის ქვეყნების ხელმძღვანელებს — მოდით განვიარაღდეთ! ბევრ ამერიკელ მოღვაწეს ჯერ კიდევ არ ესმის ეს. განიარაღების შესახებ შეთანხმების მისაღწევად დიდი მოთმინების გამოჩენა მოგვიხდება. ასეთი მოთმინება, როგორც მოგეხსენებათ, ჩვენ გვაქვს, ჩვენი ნერვები მაგარია, ჩვენ, ვისაც გნებავთ, გავეჯიბრებით ნერვების სიმაგრეში.

მაგრამ უმთავრესი, ამხანაგებო, თქვენი შრომაა, მთელი საბჭოთა ხალხის შრომაა. აქ გამოვიდნენ და თქვეს: აი, როგორია ხრუშჩოვი! ამხანაგებო, ვერც ხრუშჩოვი, ვერც ივანოვი, ვერც სხვა ვინმე ვერაფერს ვერ გააკეთებდა, მათ რომ ზურგს არ უმაგრებდნენ ისეთი ადამიანები, როგორიც თქვენა ხართ, ზურგს არ უმაგრებდეს ისეთი ხალხი, რომელსაც ჩვენ ყველანი თქვენთან ერთად წარმოვადგენთ!

ჟენევაში მუშაობა დაიწყო 18 სახელმწიფოს განიარაღების კომიტეტმა, მაგრამ იგი უკვე გახდა არა 18-ის, არამედ 17 სახელმწიფოს კომიტეტი. გვინდა იმედი ვიქონიოთ, რომ წინათ შექმნილი განიარაღების ყველა კომიტეტის, კომისიისა და ქვეკომისიისაგან განსხვავებით ამ კომიტეტის მუშაობა წარმატებით დაგვირგვინდება. საბჭოთა მთავრობა ყოველ ღონეს იხმარს, რომ განიარაღების კომიტეტმა წარმატებას მიაღწიოს თავის მუშაობაში.

მაგრამ არ შეიძლება გვერდი ავუაროთ ისეთ გარემოებას, რომელიც სერიოზულად აბნელებს ჟენევის მოლაპარაკების პერსპექტივებს. 18 სახელმწიფოს კომიტეტის მოწვევის წინ ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა გამოაცხადა, რომ მიიღო გადაწყვეტილება მოაწყოს სერია ატომური იარაღის გამოცდებისა ატმოსფეროში. აი როგორი აკომპანემენტი გამოიგონა ამერიკის მთავრობამ განიარაღების შესახებ მოლაპარაკებისათვის! ყველგან მსოფლიოში ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის გადაწყვეტილებას შეხვდნენ როგორც მძიმე ლახვარს 18 ქვეყნის კომიტეტის მიმართ, როგორც აგრესიული საგარეოპოლიტიკური კურსის ახალ გამოვლინებას.

ახლა ამერიკის პოლიტიკურმა მოღვაწეებმა და პრესამ უკუაგდეს სიტყვები ატომური იარაღის გამოცდის მავნეობის, რადიოაქტიური ნალექების შესახებ, რომლებიც არყევენ ადამიანთა ჯანმრთელობას. სულ ამ ცოტა ხნის წინათ დასავლეთის პროპაგანდა არ იშურებდა სიტყვებს, გმობდა ატომური იარაღის გამოცდას, დღეს კი ყველა ეს მოსაზრება მივიწყებულია, და დასავლეთის ქვეყნების გაზეთები ერთსულოვნად ამღერდნენ სხვა ჰანგზე — ატომური იარაღის გამოცდა საჭიროა ამერიკის შეერთებული შტატებისა და მათი მოკავშირეების თავდაცვისათვისო.

ჩვენი პარტიის ცენტრალურ კომიტეტს, საბჭოთა მთავრობას ეკისრებათ პასუხისმგებლობა საბჭოთა ხალხის წინაშე ჩვენი სამშობლოს უშიშროების უზრუნველყოფისათვის, და ჩვენ დაუცხრომლად ვზრუნავთ, რომ ჩვენი სოციალისტური სახელმწიფოს თავდაცვითი ძლიერება სათანადო დონეზე იყოს. ყველასათვის გასაგებია, რომ თუ შეერთებული შტატები განახორციელებენ ატმოსფეროში ექსპერიმენტულ აფეთქებათა ახალ სერიას, ხოლო ისინი უკვე აწარმოებენ მიწისქვეშა აფეთქებებს, საბჭოთა კავშირი იძულებული იქნება ამის პასუხად მოაწყოს თავისი ატომური იარაღის გამოცდა. ამიტომ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა, როცა ატომური იარაღის გამოცდას აწარმოებს, ვერ მიაღწევს სამხედრო უპირატესობებს, მაგრამ ერთს კი ნამდვილად მიაღწევს — იგი დაიწყებს გამალებული შეიარაღების ახალ ეტაპს და ამის გამო მას დაგმობენ ხალხები, რომლებსაც სურთ, რომ საბჭოთა კავშირი და შეერთებული შტატები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ მშვიდობიან ასპარეზზე და არა მოსპობის სულ უფრო საშინელი იარაღის წარმოებაში.

ვწუხვართ, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობამ შესაძლებლად მიიჩნია მიეღო გადაწყვეტილება ატომური იარაღის გამოცდის განახლების შესახებ. მან იკისრა სერიოზული პასუხისმგებლობა მსოფლიოს ხალხთა წინაშე. მაგრამ მინდა აღვითქვათ, ამხანაგებო, რომ შეერთებული შტატების მთავრობის ეს გადაწყვეტილება კი არ შეანელებს, არამედ, პირიქით, გაამრავლებს ჩვენს ღონისძიებებს განიარაღებისათვის ბრძოლაში, აქედან ატომური იარაღის გამოცდის აკრძალვისათვის ბრძოლაში.

საბჭოთა მთავრობამ წამოაყენა ატომური იარაღის გამოცდის აკრძალვის შესახებ შეთანხმების კარგი საფუძველი. ჩვენი წინადადებაა კონტროლისათვის გამოვიყენოთ ატომური იარაღის აფეთქებათა აღმოჩენის ეროვნული საშუალებანი, რომლებიც უკვე ახლა აქვთ სახელმწიფოებს. დასავლეთის სახელმწიფოთა წარმომადგენლები ამბობენ, თითქოს ეროვნული საშუალებანი საკმარისი არ იყოს ატომური იარაღის გამოცდის აკრძალვისადმი კონტროლის უზრუნველყოფისათვის. მაგრამ ეს ხომ ეწინააღმდეგება საერთოდ ცნობილ ფაქტებს. ატომური აფეთქებანი, რაც ამერიკის შეერთებულმა შტატებმა განახორციელეს, რეგისტრირებული იყო საბჭოთა კავშირში, ხოლო აფეთქებანი, რომლებიც საბჭოთა კავშირში განხორციელდა, როგორც ამერიკის შეერთებული შტატების ატომური კომისიის ცნობებიდან ჩანს, ფიქსირებული იყო ამერიკის კონტროლის ეროვნული საშუალებებით.

მაშასადამე, ატომური იარაღის რა ფარულ გამოცდაზე შეიძლება ვილაპარაკოთ, როცა ყოველ აფეთქებას ფაქტიურად კონტროლს უწევენ არა მარტო სსრ კავშირი და ამერიკის შეერთებული შტატები, არამედ სხვა სახელმწიფოებიც, მათ შორის ნეიტრალურიც, რომელთაგან აგრეთვე ბევრს აქვს აპარატურა ატომური აფეთქების აღმოსაჩენად. ჩვენ კი გვიპირებენ თავს მოგვახვიონ ეგრეთწოდებული კონტროლის საერთაშორისო სისტემა, რომელიც ჩვენს ტერიტორიაზე განლაგდებოდა და კონტროლის სახით განახორციელებდა ჯაშუშობას, სამხედრო დაზვერვას. ამას ჩვენ ვერასოდეს ვერ დავეთანხმებით.

ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა და დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა ერთ-ერთ თავიანთ ერთობლივ განცხადებაში ცნეს, რომ საკმარისია ატმოსფეროში ატომური იარაღის გამოცდის შეწყვეტისადმი კონტროლის ეროვნული საშუალებანი. მაგრამ ირწმუნებიან, თითქოს ატომური იარაღის საიდუმლო გამოცდა შეიძლება მოეწყოს მიწისქვეშ.

გაგიმჟღავნებთ, ამხანაგებო, ერთ საიდუმლოს. ჩვენ ვიცოდით, რომ მეცნიერება შესაძლებლობას იძლევა კონტროლის ეროვნული საშუალებით აღმოვაჩინოთ მიწისქვეშა ატომური აფეთქებანი. მიწისქვეშა ატომური იარაღის აფეთქებანი, რაც, მაგალითად, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა განახორციელეს, ფიქსირებული იყო საბჭოთა მეცნიერებისა და სხვა ქვეყნების მეცნიერების მიერ. და ჩვენ გადავწყვიტეთ დავამტკიცოთ, რომ, როცა დასავლეთის სახელმწიფოთა წარმომადგენლები გაიძახიან, შეუძლებელია მიწისქვეშა აფეთქებათა აღმოჩენაო, ისინი მართალს არ ამბობენ.

ჩვენ გამოვიყენეთ ცნობილი ხალხური ხერხი, რათა შეგვემოწმებინა როგორ იგონებს ზოგი სიყრუეს. ეს შემოწმება ზოგჯერ ასე გამოიხატება: ეუბნებიან ადამიანს: „ივანე, მომეცი!“ იგი ისე იქცევა, თითქოს არ ესმოდეს. ხოლო როცა ეტყვიან: ივანე „ჰა, აიღე!“, ეს კარგად ესმის.

აი ჩვენც გადავწყვიტეთ გამოგვეყენებინა ეს ხალხური ხერხი, და კარგი გამოდგა.

ამას წინათ საბჭოთა კავშირში მოხდა ატომური აფეთქება მიწისქვეშ, თუმცა წინათ ჩვენ არ მოგვიწყვია ასეთი აფეთქება. და რა გამოვიდა? თითქმის იმავე დღეს ამერიკის შეერთებული შტატების ატომური ენერგიის კომისიამ გამოაცხადა, რომ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა აღმოაჩინეს მიწისქვეშა ატომური აფეთქება საბჭოთა კავშირში. ამრიგად, ისინი, ვინც ამტკიცებდა, რომ შეუძლებელია მიწისქვეშა აფეთქებათა რეგისტრაცია, ვინც დაჟინებით მოითხოვდა, რომ მიწისქვეშა ატომური იარაღის გამოცდის აკრძალვა აუცილებლად უნდა დაექვემდებაროს საერთაშორისო კონტროლს, როდი ითვალისწინებდნენ შეთანხმების რაც შეიძლება მალე მიღწევის ინტერესებს.

ეს ერთხელ კიდევ გვიჩვენებს, რომ ატომური იარაღის გამოცდის აკრძალვას აბრკოლებს არა კონტროლის სისტემის შემუშავება, არამედ ის, რომ დასავლეთის სახელმწიფოებს არა სურთ შეთანხმება ატომური იარაღის გამოცდის აკრძალვის შესახებ.

ამხანაგებო! ჩვენ ვესწრაფვით გადავჭრათ განიარაღების პრობლემა, რადგან კარგად გვესმის, თუ რა მძიმე ტვირთად აწვება ხალხებს შეიარაღების უზარმაზარი ხარჯები, რა საშინელი შედეგები შეიძლება მოჰყვეს გამალებულ შეიარაღებას. რა სიხარულით ამოისუნთქავდნენ ხალხები, რომ სახსრები, რომლებიც ახლა დამანგრეველი იარაღის წარმოებაზე იხარჯება, მოხმარდეს ადამიანთა მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესებას, მეცნიერების, კულტურის განვითარებას, მშვიდობიან აღმშენებლობას! მაგრამ მონოპოლისტებმა უკვე დიდი ხანია ადამიანთა მოსპობის იარაღების წარმოება გადააქციეს გამდიდრების, მოგების საშუალებად. ისინი არ მალავენ თავიანთ შიშს „მშვიდობის საფრთხის“ წინაშე, განიარაღების წინაშე.

ამერიკის შეერთებულ შტატებში მონოპოლისტები ფართოდ ავრცელებენ „თეორიებს“ იმის შესახებ, რომ განიარაღების შესახებ შეთანხმების მიღწევამ შეიძლება ქაოსი გამოიწვიოს ამერიკის ეკონომიურ და ფინანსურ ცხოვრებაში, რომ განიარაღება გამოუსწორებელ დარტყმას მიაყენებს ამერიკის ეკონომიკას. იმპერიალიზმის იდეოლოგები სერიოზულად ამტკიცებენ, ადამიანთა მასობრივი მოსპობისათვის განკუთვნილი იარაღის წარმოება ხელსაყრელია თვით მშრომელებისათვის, იმიტომ რომ აძლევს მათ სამუშაოს, შესაძლებლობას თავიანთი ოჯახები გამოკვებონო. ისინი ცდილობენ ჩააგონონ ადამიანებს, რომ თუ შეწყდა იარაღის წარმოება, გაჩნდება მილიონობით ახალი უმუშევარი, რომლებიც ვერ გამოიყენებენ თავიანთ ძალებს მრეწველობის მშვიდობიან დარგებში. ეს მასების საშინელი მოტყუებაა. მოგების მიღებისათვის მონოპოლისტებს სურთ განამტკიცონ ისეთი მდგომარეობა, როცა მრავალი მილიონი მუშის არსებობის წყარო იქნება შრომა ადამიანთა მასობრივი მოსპობის იარაღის წარმოებისათვის, მშვიდობიანი ქალაქებისა და სოფლების ნგრევა. ეს მოწმობს, რომ კაპიტალიზმი გაიხლართა გადაუჭრელ წინააღმდეგობებში და ამოწურა თავისი თავი როგორც საზოგადოებრივმა სისტემამ.

საბჭოთა კავშირი გულწრფელად ისწრაფვის მიაღწიოს შეთანხმებას განიარაღების შესახებ, მტკიცედ იბრძვის მისთვის. ჩვენთვის უაღრესად უცხოა იმპერიალიზმის კაცთმოძულეობის იდეოლოგია, იმიტომ რომ კომუნიზმი დედამიწაზე ამკვიდრებს ყველა ხალხის მშვიდობას, შრომას, თავისუფლებას, თანასწორობას, ძმობასა და ბედნიერებას.

ჩვენს ბრძოლას განიარაღებისათვის იმპერიალიზმის იდეოლოგები სახავენ როგორც რაღაც ტაქტიკურ ფანდს და აცხადებენ, რომ შეთანხმება განიარაღების შესახებ ხელსაყრელია მხოლოდ საბჭოთა კავშირისათვის, სოციალისტური ქვეყნებისათვის და ზიანს მიაყენებს ამერიკის შეერთებულ შტატებსა და მათ მოკავშირეებს, ორი სოციალური სისტემის ეკონომიურ შეჯიბრებაში სსრ კავშირი ვითომდა უფრო სრულად გამოიყენებს ყველა შესაძლებლობას თავისი ეკონომიკის განვითარებისათვის, თუ იგი მშვიდობიან დარგებს მოახმარს იმ სახსრებს, რომლებიც ახლა სამხედრო მიზნებს ხმარდება.

ასე რომ ლაპარაკობენ იმპერიალიზმის იდეოლოგები, როგორც ჩანს, არ უფიქრდებიან იმას, რომ ასეთი აღიარება მკაცრი განაჩენია იმპერიალიზმისათვის, დაჩანაგებული კაპიტალისტური წყობილებისათვის, რომელიც აიძულებს ხალხის მასებს ძალები და უდიდესი მატერიალური სახსრები ფლანგონ არა კაცობრიობის განვითარების საკეთილდღეოდ, არამედ მის საზიანოდ. კომუნიზმს ხალხებისათვის მოაქვს შემოქმედებითი შრომის სიხარული და მშვიდობიანი განვითარების ნათელი პერსპექტივები.

ჩვენს საყოველთაო და სრული განიარაღების პროგრამას განვიხილავთ როგორც საბჭოთა ხალხის განაწესს, ამომრჩეველთა განაწესს პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელებისათვის. შეგიძლიათ დარწმუნებული იყოთ, რომ ჩვენ არ შევასუსტებთ ბრძოლას ამ განაწესის შესრულებისათვის.

საბჭოთა მთავრობამ დაავალა ჩვენს დელეგაციას 18 სახელმწიფოს კომიტეტში ენერგიულად იბრძოლოს შეთანხმებისათვის განიარაღების დარგში კონკრეტული ღონისძიებების შესახებ. გუშინ საგარეო საქმეთა მინისტრმა ამხანაგმა გრომიკომ საბჭოთა კავშირის სახელით შეიტანა პროექტი ხელშეკრულებისა მტკიცე საერთაშორისო კონტროლს დაქვემდებარებული საყოველთაო და სრული განიარაღების შესახებ. ხელშეკრულების ეს პროექტი ყველა საფუძველს აძლევს სახელმწიფოებს მიაღწიონ შეთანხმებას ამ საკითხზე.

მაგრამ, ამხანაგებო, საჭიროა საქმის მდგომარეობა ფხიზლად შევაფასოთ. ხალხის მასებს კაპიტალისტურ ქვეყნებში, ისეთებში, როგორიც არიან ამერიკის შეერთებული შტატები, ინგლისი, საფრანგეთი, დასავლეთი გერმანია და სხვები, როგორც ჩანს, საკმაოდ ვერ შეუგნიათ გამალებული შეიარაღების მთელი საშიშროება. ამ ქვეყნებში ჯერ კიდევ შედარებით ცოტა ადამიანია ჩაბმული გადამწყვეტ ბრძოლაში ატომური სიკვდილის წინააღმდეგ. ადამიანთა უმრავლესობა, რა თქმა უნდა, არ ეთანხმება გამალებული შეიარაღების პოლიტიკას, მაგრამ ისინი ჯერ კიდევ საკმაოდ აქტიურად არ იბრძვიან ამ პოლიტიკაზე უარის თქმისათვის. ზოგიერთს კი იმედი აქვს როგორღაც გადაირჩინოს თავი, დაიმალოს რაღაც თავშესაფრებში, რომლებითაც მათ ასულელებენ როკფელერი და მონოპოლისტური კაპიტალის სხვა წარმომადგენლები.

ატომური ომისაგან მხოლოდ ერთი ხსნაა — იგი თავიდან უნდა ავიცილოთ. საჭიროა რომ ხალხები აღდგნენ ერთიან მძლავრ ნაკადად და მოითხოვონ გამალებული შეიარაღების შეწყვეტა. ხალხებმა უნდა მიაღწიონ იმ მოღვაწეთა შეცვლას, რომლებიც ეწინააღმდეგებიან განიარაღებას, და წამოაყენონ ისეთი ადამიანები, რომლებსაც ნამდვილად ესმით ხალხის ინტერესები და მზად არიან განახორციელონ ხალხის ინტერესების შესაბამისი პოლიტიკა, მშვიდობისა და საერთაშორისო თანამშრომლობის პოლიტიკა. მშვიდობის საფუძველია ხალხის მასების აქტიური მოქმედება.

არიან ადამიანები, რომლებიც ან სწორად არ აფასებენ, ან განზრახ ამახინჯებენ საბჭოთა კავშირის პოზიციას განიარაღების საკითხებში. ისინი ამტკიცებენ, რომ ჩვენი მოწოდება განიარაღებისადმი მავნეა და საშიშიც კი არის, რადგან ასეთი მოწოდება, ვითომდა, ზიანს აყენებს ხალხებს, რომლებიც იბრძვიან განთავისუფლებისათვის კოლონიური უღლისაგან, და იმ ხალხებისათვის, რომლებმაც უკვე მოიპოვეს პოლიტიკური დამოუკიდებლობა. მაგრამ ჯერ კიდევ მთლიანად ვერ განთავისუფლებულან უცხოეთის მონოპოლისტური კაპიტალის ბატონობისაგან. ეს ხალხები, ამბობენ ისინი, კი არ უნდა განიარაღდნენ, არამედ უნდა შეიარაღდნენ, რომ ბოლო მოუღონ საფრთხეს, რომელიც მათ ემუქრება იმპერიალისტთა მხრივ.

ჩვენ მიგვაჩნდა და მიგვაჩნია, რომ ხალხებს, რომლებიც ჯერ არ განთავისუფლებულან კოლონიალიზმის ბორკილებისაგან, შეუძლიათ თავიანთ განთავისუფლებას მიაღწიონ მხოლოდ ბრძოლით, მათ შორის იარაღზე დაყრდნობით. იმ ხალხებს კი, რომლებიც უკვე განთავისუფლდნენ, შეუძლიათ დაიცვან თავიანთი დამოუკიდებლობა აგრეთვე მხოლოდ ბრძოლით, მხოლოდ შეიარაღებით, რათა წინააღმდეგობა გაუწიონ თავითფეხამდე შეიარაღებულ კოლონიზატორებს, იმპერიალისტებს. უფრო მეტიც, ჩვენ არა მარტო ვამბობთ ამას, არამედ მნიშვნელოვან ეკონომიურ დახმარებას, მათ შორის იარაღით დახმარებას ვუწევთ იმ სახელმწიფოებს, რომლებიც გვთხოვენ მხარდაჭერას იმპერიალისტთა და კოლონიზატორთა წინააღმდეგ ბრძოლაში, თავიანთი დამოუკიდებლობის განმტკიცებისათვის ბრძოლაში.

როცა ჩვენ მოვუწოდებთ განიარაღებისათვის და ვიბრძვით ამისათვის, მხედველობაში გვაქვს, რომ უნდა განიარაღდეს ყველა სახელმწიფო და უწინარეს ყოვლისა ისინი, ვისაც აქვს ყველაზე მომაკვდინებელი იარაღი — ატომური იარაღი. დარწმუნებული ვართ, რომ საყოველთაო და სრული განიარაღება დიდ დახმარებას გაუწევს ხალხებს, რომლებიც აწარმოებენ სამართლიან ბრძოლას კოლონიზატორთა და იმპერიალისტთა წინააღმდეგ. განა ცხადი არ არის, რომ ერთ-ერთი მთავარი მიზეზი, თუ რატომ არ თანხმდებიან იმპერიალისტები განიარაღებაზე, ის არის, რომ ისინი მორჩილებაში ველარ იყოლიებენ სხვა ხალხებს. განიარაღება სარგებლობას მოუტანდა არა ხალხთა თავისუფლების ჩამხშობებს, არამედ თვით ხალხებს, რომლებიც სამართლიან ბრძოლას აწარმოებენ განთავისუფლებისათვის.

ჩვენ გვახარებს მსოფლიო ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის წარმატებანი, რომლებიც სპობს კოლონიური სისტემის ნაშთებს, არყევს იმპერიალიზმის საყრდენებს. მილიარდნახევარზე მეტი ადამიანი, რომლებმაც დაამსხვრიეს კოლონიური მონობის ბორკილი, ათობით სახელმწიფო, რომლებმაც მოიპოვეს პოლიტიკური დამოუკიდებლობა, — ასეთია ომისშემდგომ წლებში ხალხთა ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის შედეგი, რაც ჭეშმარიტად ყოველგვარ წარმოდგენას აღემატება.

ჩვენ ეჭვი არ გვეპარება, რომ მალე შესაძლებელი იქნება ამას მივუმატოთ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის სხვა წარმატებებიც. თავისუფლებისა და ეროვნული დამოუკიდებლობის მოპოვების ზღურბლზეა გმირი ალჟირელი ხალხი. შვიდი წლის სისხლისმღვრელი ომის შემდეგ საფრანგეთის მთავრობა იძულებული გახდა დათანხმებულიყო ოფიციალურ მოლაპარაკებაზე ცეცხლის შეწყვეტისა და ალჟირის თვითგამორკვევის პირობების შესახებ. გვინდა იმედი ვიქონიოთ, რომ ამჟამად წარმოებულ მოლაპარაკებას მოჰყვება ალჟირის ხალხის სამართლიან მისწრაფებათა დაკმაყოფილება და მშვიდობის დამყარება ამ რაიონში. ეს იქნება ალჟირელი ხალხის დიდი გამარჯვება და ამასთან ერთად შვება თვით საფრანგეთისათვის.

გადამწყვეტ სტადიაში შევიდა ზოგიერთი სხვა კოლონიური ქვეყნის ხალხთა ეროვნულ-განმათავისუფლე-

(დასასრული მე-4 გვერდზე)

ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვა

(დასასრული)

ბელი მოძრაობაც. ყველაფერი იმას მოწმობს, რომ დამოუკიდებელი ქვეყნების ოჯახს კიდევ არა ერთი განთავისუფლებული სახელმწიფო შეემატება.

დიდმნიშვნელოვანი ფაქტორი, რომელმაც განაპირობა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის დიდი მონაპოვრები იყო ის, რომ ამ მოძრაობას შეეძლო დაყრდნობოდა და კიდევაც ეყრდნობა სოციალისტური სისტემის ძლიერებას, რომ საბჭოთა კავშირი და დიადი სოციალისტური ბანაკის სხვა ქვეყნები დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი ხალხების საიმედო ფარი გახდნენ.

ისტორიამ დაამტკიცა, რომ ჩვენს დროში ხალხები საბოლოოდ ვერ დაამსხვრევენ კოლონიალიზმის ბორკილებს, თუ არ ექნათ დასაყრდენი, რომელსაც მათ აძლევს სოციალიზმის ბანაკი. ამავე დროს ჩაგრული ხალხების ბრძოლა თავიანთი დამოუკიდებლობისათვის აძლიერებს სოციალიზმის საერთაშორისო პოზიციებს. ყველა რევოლუციური მოძრაობის — სოციალიზმის, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის, მსოფლიო პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლის ურთიერთმოქმედება, მათი შერწყმა ერთიან მძლავრ ნაკადად, რომელიც ძირს უთხრის იმპერიალიზმის საფუძვლებს, ყოველივე ეს შესაძლებელს ხდის თავისუფლების, დემოკრატიისა და სოციალიზმის პრინციპებზე მსოფლიოს განახლების ისტორიულ პროცესს, რომლის მოწმენი და მონაწილენი ჩვენ ვართ.

მაგრამ ცხოვრება ყოველ წუთს მოგვაგონებს, რომ კოლონიური და დამოკიდებული ხალხების ბრძოლა ეროვნული თავისუფლებისათვის სრულიადაც არ დამთავრებულა. ამ ბრძოლაში ბარიკადების იქითა მხარეს დგას ძლიერი და გამოცდილი მტერი, რომელიც სრულიადაც არ აპირებს დათმოს თავისი პოზიციები, სჩადის ყოველგვარ დანაშაულს, რათა ჩაახშოს ხალხთა ბუნებრივი მისწრაფება თავისუფლებისადმი, ხოლო სადაც მოახერხებს, კიდევაც აღადგინოს თავისი ყოფილი ბატონობა.

პორტუგალიელი კოლონიზატორები ცდილობენ სისხლში ჩაახრჩონ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა ანგოლაში, ცეცხლს უკიდებენ და ანგრევენ ამ ქვეყნის ქალაქებსა და სოფლებს.

სულ უფრო გაბოროტებული ხდება საერთაშორისო იმპერიალიზმის ინტრიგები კონგოში.

შეხედეთ, როგორ ყალყზე შედგნენ ჰოლანდიელი კოლონიზატორები, როცა ინდონეზიის მთავრობამ წარუდგინა კანონიერი მოთხოვნა გაათავისუფლონ ინდონეზიის ძველთაძველი მიწაწყალი — დასავლეთი ირიანი.

მთელი რიგი წლების მანძილზე ყველას თვალწინ ხდებოდა ამერიკის შეერთებული შტატების ჩარევა სამხრეთ ვიეტნამის საშინაო საქმეებში. ამერიკის სამხედრო ხროვას იმედი აღარ ჰქონდა თავისი აგენტებისა და თვითონ ჩაება გამოუცხადებელ ომში ვიეტნამელ პატრიოტთა წინააღმდეგ, რომლებიც იბრძვიან ჩრდილოეთ და სამხრეთ ვიეტნამის მშვიდობიანი გაერთიანებისათვის.

და განა ცოტა წარმოიშობა დაძაბულობისა და შეშფოთების სხვა კერები იმპერიალისტთა იმ ცდების შედეგად, რომ გზა გადაუღობონ ხალხებს, რომლებიც იბრძვიან ეროვნული დამოუკიდებლობისათვის.

ამერიკელი იმპერიალისტები სიტყვით აცხადებენ, რომ მხარს უჭერენ დამოუკიდებელი ლაოსის შექმნას, რომელიც განახორციელებს ნეიტრალურ პოლიტიკას. მაგრამ სწორედ მის შემდეგ, რაც ლაოსის მთავრობამ გამოაცხადა, რომ ლაოსი განახორციელებს ნეიტრალურ პოლიტიკას, ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობამ მოაწყო რეაქციული ძალების გამოსვლა, რომლებმაც ომი გააჩაღეს ლაოსის კანონიერი მთავრობის წინააღმდეგ. ამერიკის შეერთებულმა შტატებმა წარმოშვეს ეგრეთწოდებული მეამბოხეთა მთავრობა, შეაიარაღეს რეაქციული ძალები და მხარს უჭერენ მათ ახლაც.

ჩვენ ეჭვი არ გვეპარება, რომ იმპერიალისტთა ხრიკები განწირულია ჩასაფუშავად. ლაოსის ხალხი მიაღწევს გამარჯვებას და ეყოლება ისეთი მთავრობა, რომელიც განახორციელებს პოლიტიკას ხალხის ინტერესებისათვის და არა იმპერიალისტთა ინტერესებისათვის.

იმპერიალისტებს აღარ ძალუძთ მართონ ხალხების ბედი. ყველა ქვეყნის ხალხებს, მიუხედავად იმისა, პატარაა ეს ქვეყნები თუ დიდი, აქვთ დამოუკიდებელი არსებობის, ისეთი საზოგადოებრივი და სოციალური წყობილების არჩევის უფლება, რომლის დამყარებასაც თავიანთ ქვეყანაში ისინი მოისურვებენ. ამიტომ არავითარი გამართლება არა აქვს აგრესიულ პოლიტიკას, რომელსაც ამერიკის შეერთებული შტატები ახორციელებენ კუბის მიმართ. გაუმაძღარი სიხარბე აიძულებს ამერიკის შეერთებული შტატების მონოპოლისტებს ჩაიდინონ დანაშაულებრივი ავანტიურები კუბის თავისუფლებისმოყვარე ხალხის წინააღმდეგ, აშკარად ჩაერიონ კუბის საშინაო საქმეებში. მაგრამ რა ცოფებსაც უნდა ყრიდნენ იმპერიალისტები, კუბელი ხალხი გაიმარჯვებს, იმიტომ რომ იგი საკუთარ თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას იცავს. მის მხარეზეა ყველა სოციალისტური ქვეყნის, ყველა თავისუფლებისმოყვარე ხალხის სიმპათია და მხარდაჭერა. საბჭოთა კავშირი ყოველმხრივ უჭერდა და კვლავაც დაუჭერს მხარს კუბის რესპუბლიკის სამართლიან ბრძოლას, კუბელ ხალხს.

ამხანაგებო! საბჭოთა კავშირი ახორციელებდა და კვლავაც განახორციელებს თანმიმდევრულ, აქტიურ და მოქნილ საგარეო პოლიტიკას, იბრძოლებს მომწიფებული საერთაშორისო პრობლემების გადაჭრისათვის, დაიცავს ხალხთა მშვიდობიან ცხოვრებას, ხელს შეუწყობს სახელმწიფოთა მეგობრობისა და თანამშრომლობის განვითარებას. ეს პოლიტიკა ამრავლებს ჩვენი სამშობლოს სახელსა და დიდებას!

საბჭოთა კავშირი მიდის ერთ მწყობრში სხვა სოციალისტურ ქვეყნებთან ერთად. ჩვენი მძლავრი იარაღი, ჩვენი ძალაა სოციალისტური ქვეყნების მეგობრობა და შეკავშირება. ეს წარმატებითი წინსვლის საიმედო საწინდარია, დედამიწაზე მშვიდობიანი ცხოვრების შენარჩუნების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პირობაა.

* * *

ამხანაგებო! 18 მარტს საბჭოთა ადამიანები მივლენ საარჩევნო ყუთებთან, რათა ხმა მისცენ კომუნისტებისა და უპარტიოების ბლოკის კანდიდატებს. შეიძლება ეჭვი არ ვიქონიოთ, რომ არჩევნები გადაიქცევა პარტიისა და ხალხის განუყრელი ერთიანობის ახალ დემონსტრაციად. ეს ერთიანობაა საბჭოთა კავშირის ძალის ერთ-ერთი მძლავრი წყარო, გამარჯვებული კომუნიზმის ქვეყნის წარმატებათა წყარო.

შეიძლება ეჭვი არ ვიქონიოთ, რომ კომუნისტები ამ არჩევნებში, ისევე როგორც წინა საარჩევნო კამპანიაში, ერთსულოვნად მისცემენ ხმას დეპუტატობის როგორც პარტიულ, ისე უპარტიო კანდიდატებს. უპარტიოები კი ასევე ერთსულოვნად მისცემენ ხმას როგორც უპარტიოებს, ისე კომუნისტებს.

ამ არჩევნებში საბჭოთა კავშირის ხალხები მიდიან ერთიან ოჯახად და კარგად იციან, რომ მათი ძალაა ძმური მეგობრობა, რომ მიღწეული წარმატებანი როგორც მთლიანად ჩვენი ქვეყნის, ისე თითოეული რესპუბლიკის განვითარებაში საბჭოთა კავშირის ხალხთა მთელი მრავალეროვანი ოჯახის საერთო ღონისძიებათა შედეგია.

ჩვენ კვლავაც უნდა განვამტკიცოთ და ყოველი ღონისძიებით დავიცვათ ხალხთა ძმური მეგობრობა, წმიდად უნდა გვახსოვდეს, რომ ეს მეგობრობა ჩვენი ერთ-ერთი ყველაზე დიადი მონაპოვარია, ჩვენი სოციალისტური სამშობლოს ძალისა და უძლეველობის მძლავრი წყაროა.

საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას თავის ამოცანად მიაჩნია ის, რომ კიდევ უფრო განამტკიცოს კავშირი ხალხთან, გამოხატოს და განახორციელოს მისი საარსებო ინტერესები, მუდამ იყოს საბჭოთა ხალხის მებრძოლი ავანგარდი. ასე იყო ყოველთვის, რადგან პარტია არსებობს ხალხისათვის და ემსახურება ხალხს. საბჭოთა ადამიანებს კომუნისტური პარტია მიაჩნიათ თავიანთ მებრძოლ, ნაცად ავანგარდად.

გაუმარჯოს ჩვენს დიად სამშობლოს — საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირს!

გაუმარჯოს კომუნიზმის მშენებელ საბჭოთა ხალხს!

მშვიდობისათვის, შრომისათვის, თავისუფლებისათვის, თანასწორობისათვის, ძმობისა და ბედნიერებისათვის!

ლენინის დროშით, ლენინური პარტიის ხელმძღვანელობით — წინ, კომუნიზმის გამარჯვებისაკენ!

(ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვს სიტყვა არაერთხელ შეაწყვეტინეს მქუხარე, ხანგრძლივი ტაშით).

* * *

მილიონობით საბჭოთა ადამიანი რადიომიმღებებთან და ტელევიზორებთან აღფრთოვანებით ისმენდა და ხედავდა ამომრჩეველთა შეხვედრას ჩვენი ქვეყნის სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს დეპუტატობის კანდიდატთან — **ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვთან.**

ხელშეკრულება

მტკიცე საერთაშორისო კონტროლს დაქვემდებარებული საყოველთაო და სრული განიარაღების შესახებ

სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა ა. ა. გრომიკომ საბჭოთა მთავრობის დავალებით 18 სახელმწიფოს განიარაღების კომიტეტის მონაწილეთა განსახილველად ჟენევაში წარადგინა პროექტი ხელშეკრულებისა მტკიცე საერთაშორისო კონტროლს დაქვემდებარებული საყოველთაო და სრული განიარაღების შესახებ.

ხელშეკრულების პრეამბულაში ნათქვამია:

მსოფლიოს სახელმწიფოებმა, რომელნიც მოქმედებენ ხალხთა მისწრაფებისა და ნების შესაბამისად და დარწმუნებული არიან, რომ ომი არ შეიძლება და არც უნდა იყოს საერთაშორისო დავის გადაჭრის საშუალება, მით უფრო თანამედროვე პირობებში, როცა სწრაფად ვითარდება ადამიანთა მასობრივი მოსპობის საშუალებანი — ატომური იარაღი და მისი მიტანის რაკეტული საშუალებანი, და რომ ომი სამუდამოდ უნდა გამოირიცხოს ადამიანთა საზოგადოების ცხოვრებიდან,

ასრულებენ ომის საშინელებათაგან ყველა ხალხის ხსნის ისტორიულ მისიას,

ხელმძღვანელობენ იმით, რომ მტკიცე საერთაშორისო კონტროლს დაქვემდებარებული საყოველთაო და სრული განიარაღება კაცობრიობის საუკუნობრივი ოცნების განხორციელების — დედამიწაზე სამუდამო და ურღვევი მშვიდობის უზრუნველყოფის საიმედო და რეალური გზაა,

სურთ ბოლო მოეღოს იმას, რომ ადამიანის შრომა უაზროდ იხარჯებოდეს ადამიანთა ულეტისა და მატერიალურ ფასეულობათა ნგრევის საშუალებათა შესაქმნელად,

ისწრაფვიან მთელი რესურსები მოახმარონ კეთილდღეობისა და სოციალურ-ეკონომიური პროგრესის შემდგომი ზრდის უზრუნველყოფას მსოფლიოს ყველა ქვეყანაში,

შეგნებული აქვთ, რომ საჭიროა სახელმწიფოთა ურთიერთობას საფუძვლად დაედოს მშვიდობის, სახელმწიფოთა და ხალხთა კეთილმეზობლობის, თანასწორუფლებიანობის, ჩაურევლობის, ყველა ქვეყნის დამოუკიდებლობისა და სუვერენიტეტის პატივისცემის პრინციპები,

ადასტურებენ, რომ ერთგულად იცავენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების პრინციპებს,

გადაწყვიტეს დადონ ეს ხელშეკრულება და დაუყოვნებლივ განახორციელონ საყოველთაო და სრული განიარაღება მტკიცე და ეფექტიანი საერთაშორისო კონტროლით.

ხელშეკრულების პროექტი ითვალისწინებს, იმას, რომ ოთხი წლის განმავლობაში განხორციელდეს საყოველთაო და სრული განიარაღება, რომელშიც შედის: მთელი შეიარაღებული ძალების დათხოვნა და მათი აღდგენის აკრძალვა, რა ფორმითაც უნდა იყოს; მასობრივი მოსპობის იარაღის ყველა სახეობის, მათ შორის ატომური, თერმოატომური, ქიმიური, ბიოლოგიური და რადიოლოგიური იარაღის აკრძალვა, მთელი მარაგის მოსპობა და მათი წარმოების შეწყვეტა; მასობრივი მოსპობის იარაღის მიზანთან მისატანად განკუთვნილი ყველა საშუალების მოსპობა და წარმოების შეწყვეტა; უცხოელთა ყოველგვარი სამხედრო ბაზის ლიკვიდაცია, უცხოელთა მთელი ჯარების გაყვანა და დათხოვნა, რომელი სახელმწიფოს ტერიტორიაზეც უნდა იყონ ისინი; მოქალაქეთა ყველა სახეობის სამხედრო ვალდებულების გაუქმება; მოსახლეობის სამხედრო სწავლების შეწყვეტა და ყველა სამხედრო სასწავლებლის დახურვა; სამხედრო სამინისტროების, გენერალური შტაბებისა და მათი ადგილობრივი ორგანოების, ისევე როგორც ყველა სხვა სამხედრო და გასამხედროებულ დაწესებულებათა და ორგანიზაციათა გაუქმება; ყველა სახეობის ჩვეულებრივი შეიარაღებისა და სამხედრო ტექნიკის ლიკვიდაცია, მათი წარმოების შეწყვეტა, გარდა შეთანხმებული ტიპების მსუბუქი სასროლი იარაღის მტკიცედ განსაზღვრული რაოდენობის წარმოებისა, რაც საჭიროა პოლიციის (მილიციის) კონტინგენტების შესაიარაღებლად, რომლებიც სახელმწიფოებს რჩებათ საყოველთაო და სრული განიარაღების განხორციელების შემდეგ; სამხედრო მიზნებისათვის სახსრების გაცემის შეწყვეტა როგორც სახელმწიფო ბიუჯეტების ხაზით, ისე რაიმე ორგანიზაციისა და კერძო პირთა ხაზით.

საყოველთაო და სრული განიარაღების შემდეგ სახელმწიფოებს შეუძლიათ თავიანთ განკარგულებაში იყოლიონ მსუბუქი სასროლი იარაღით შეიარაღებული პოლიციის (მილიციის) მტკიცედ განსაზღვრული კონტინგენტები, რომლებიც განკუთვნილია იმისათვის, რომ სახელმწიფოებმა დაიცვან შინაგანი წესრიგი და შეასრულონ თავიანთი ვალდებულებანი საერთაშორისო მშვიდობისა და უშიშროების დასაცავად.

ხელშეკრულების პროექტი ითვალისწინებს, რომ სახელმწიფოებმა საყოველთაო და სრული განიარაღება განახორციელონ ერთდროულად სამ თანმიმდევრულ ეტაპად. ისე განახორციელონ საყოველთაო და სრული განიარაღების ყველა ღონისძიება, რომ განიარაღების არც ერთ ეტაპზე არც ერთ სახელმწიფოს ან სახელმწიფოთა ჯგუფს არ მიეცეს სამხედრო უპირატესობა და ხელშეკრულების მონაწილე ყველა სახელმწიფოსათვის თანაბრად უზრუნველყოფილი იყოს უშიშროება.

ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოები საქვეყნოდ კისრულობენ ვალდებულებას განიარაღების ყველა ღონისძიება თავიდან ბოლომდე განახორციელონ მტკიცე საერთაშორისო კონტროლით. განიარაღებისადმი კონტროლის განსახორციელებლად არსდება განიარაღების საერთაშორისო ორგანიზაცია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ფარგლებში ხელშეკრულების მონაწილე ყველა სახელმწიფოს შემადგენლობით იგი თავის საქმიანობას იწყებს განიარაღების ღონისძიებათა განხორციელების დაწყებასთან ერთად. საყოველთაო და სრული განიარაღების პროგრამის დამთავრების შემდეგ ეს ორგანიზაცია რჩება და თვალყურს ადევნებს, როგორ ასრულებენ სახელმწიფოები ნაკისრ ვალდებულებებს, რათა არ დაუშვას სახელმწიფოთა სამხედრო პოტენციალის აღდგენა რა ფორმითაც უნდა იყოს.

ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოები, როგორც აღნიშნულია ხელშეკრულების პროექტში, საქვეყნოდ ადასტურებენ, რომ მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი საყოველთაო და სრული განიარაღების განხორციელების მსვლელობაში და განიარაღების განხორციელების შემდეგ თავიანთ ურთიერთობას საფუძვლად დაუდონ მშვიდობიანი მეგობრული თანაარსებობისა და თანამშრომლობის პრინციპები; არ მიმართონ ძალის მუქარას ან არ გამოიყენონ ძალა წარმოშობილი საერთაშორისო დავის გადასაჭრელად, არამედ ამ მიზნით გამოიყენონ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებით გათვალისწინებული პროცედურები; განამტკიცონ გაერთიანებული ერების ორგანიზაცია როგორც მშვიდობის დაცვისა და საერთაშორისო დავის მშვიდობიანი საშუალებებით მოწესრიგების მთავარი ინსტიტუტი.

ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოები ვალდებულებას კისრულობენ პოლიციის (მილიციის) კონტინგენტები, რომლებიც მათს განკარგულებაში რჩება საყოველთაო და სრული განიარაღების დამთავრების შემდეგ, ისე არ გამოიყენონ, რომ ეს გასცდეს სახელმწიფოთა შინაგანი უშიშროების უზრუნველყოფის და იმის ფარგლებს, რომ მათ შეასრულონ თავიანთი ვალდებულებანი საერთაშორისო მშვიდობისა და უშიშროების დაცვისათვის გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების შესაბამისად.

ხელშეკრულების პროექტი მოითხოვს, რომ განიარაღების პირველი ეტაპის მსვლელობაში განხორციელდეს ატომური იარაღის მიტანის ყველა საშუალებისა და სხვის ტერიტორიებზე უცხოელთა ყველა სამხედრო ბაზის ერთდროული ლიკვიდაცია და უცხოელთა მთელი ჯარების გაყვანა ამ ტერიტორიებიდან, აგრეთვე მოითხოვს, რომ ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოებმა შეამცირონ თავიანთი შეიარაღებული ძალების რიცხვი, ჩვეულებრივი შეიარაღება და მათი წარმოება და სამხედრო ხარჯები.

გათვალისწინებულია ლიკვიდაცია რაკეტებისა და სამხედრო თვითმფრინავებისა, რომლებსაც შეუძლიათ მიიტანონ ატომური იარაღი, ყველა წყალზედა სამხედრო ხომალდისა, რომლებიც შეიძლება გამოყენებულ იქნას როგორც ატომური იარაღის მატარებლები, და წყალქვეშა ნავებისა, ყველა საარტილერიო სისტემისა, რომლებიც შეიძლება გამოიყენონ ატომური იარაღის მიტანის საშუალებად.

როგორც აღნიშნულია ხელშეკრულების პროექტში, ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა შეიარაღებული ძალების რიცხვი მცირდება განიარაღების პირველი ეტაპის განმავლობაში ამერიკის შეერთებული შტატებისა 1.700 ათას კაცამდე, სსრ კავშირისა — 1.700 ათას კაცამდე, სხვა სახელმწიფოებისა — იმ დონემდე, რომელთა შესახებ უნდა მოხდეს შეთანხმება.

ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოები შეიარაღებული ძალების რიცხვის შემცირების შესაბამისად ამცირებენ ჩვეულებრივი შეიარაღებისა და საომარი მასალების წარმოებას. მცირდება სამხედრო ბიუჯეტები და ასიგნობანი სამხედრო მიზნისათვის ატომური იარაღის მიტანის საშუალებათა მოსპობისა და წარმოების შეწყვეტის, სხვის ტერიტორიებზე უცხოელთა სამხედრო ბაზების ლიკვიდაციისა და ამ ტერიტორიებიდან უცხოელთა ჯარების გაყვანის შესაბამისად, აგრეთვე შეიარაღებული ძალების რიცხვისა და ჩვეულებრივი შეიარაღების შემცირების და ასეთი შეიარაღების წარმოების შემცირების შესაბამისად.

სახსრები, რომლებიც თავისუფლდება პირველი ეტაპის ღონისძიებათა განხორციელების შედეგად, გამოყენებულ იქნება მშვიდობიანი მიზნებისათვის, მათ შორის მოსახლეობის გადასახადების შემცირებისა და ეროვნული ეკონომიკის სუბსიდირებისათვის. ამასთან განთავისუფლებული სახსრების გარკვეული წილი ხმარდება სუსტად განვითარებული ქვეყნებისათვის ეკონომიური და ტექნიკური დახმარების გაწევას. ამ წილის ოდენობის შესახებ უნდა შეთანხმდნენ ხელშეკრულების მონაწილენი.

ხელშეკრულების პროექტი ითვალისწინებს, რომ პირველი ეტაპის დასაწყისიდანვე ატომური იარაღის მიტანის ყველა საშუალების საბოლოო მოსპობამდე აკრძალულია ორბიტაზე გაყვანა ან კოსმოსურ სივრცეში მოთავსება სპეციალური მოწყობილობებისა, რომლებსაც შეუძლიათ მასობრივი მოსპობის იარაღის ზიდვა, ტერიტორიული წყლების ფარგლებს გარეთ სამხედრო ხომალდების გასვლა და თავიანთი ეროვნული ტერიტორიის ფარგლებს გარეთ სამხედრო თვითმფრინავების გაფრენა, რომლებსაც შეუძლიათ მასობრივი მოსპობის იარაღის ზიდვა. რაკეტებისა და კოსმოსური აპარატების გაშვება წარმოებს მხოლოდ მშვიდობიანი მიზნით.

ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოები, რომლებსაც ატომური იარაღი აქვთ, ვალდებულებას კისრულობენ თავი შეიკავონ ატომური იარაღისადმი კონტროლის გადაცემისა და ცნობების მიწოდებისაგან, რომლებიც საჭიროა ამ იარაღის საწარმოებლად იმ სახელმწიფოებისათვის, რომლებსაც ასეთი იარაღი არა აქვთ. ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოები, რომლებსაც ატომური იარაღი არა აქვთ, ვალდებულებას კისრულობენ თავი შეიკავონ ატომური იარაღის წარმოებისაგან ან სხვა საშუალებით შეძენისაგან და უარს ამბობენ დაუშვან თავიანთ ტერიტორიაზე ატომური იარაღი, რომელიც რომელიმე სხვა სახელმწიფოს ეკუთვნის.

ხელშეკრულების პროექტი მოითხოვს აიკრძალოს ატომური იარაღის ყოველგვარი გამოცდა (თუ ასეთი აკრძალვა არ განხორციელდა ამ ხელშეკრულების ხელმოწერის მომენტისათვის სხვა საერთაშორისო შეთანხმებათა გამო).

იმ მიზნით, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციისათვის უზრუნველყოფილი იყოს მშვიდობისადმი საფრთხის ან მისი დარღვევის წინააღმდეგ სახელმწიფოთა ეფექტიანი დაცვის უნარი, ხელშეკრულების მონაწილე ყველა სახელმწიფო ხელშეკრულების ხელმოწერიდან მის ძალაში შესვლამდე დებს შეთანხმებას უშიშროების საბჭოსთან ამ უკანასკნელისათვის შეიარაღებული ძალების გადაცემის, დახმარების გაწევისა და მომსახურების შესაბამის საშუალებათა, მათ შორის გავლის უფლების მიცემის შესახებ. შეიარაღებული ძალები, რომლებიც ხსენებული შეთანხმებებით არის გამოყოფილი, შევლენ შესაბამის სახელმწიფოთა ეროვნული შეიარაღებული ძალების შემადგენლობაში და განლაგდებიან მათი ტერიტორიის ფარგლებში. ისინი მთლიანად იქნებიან დაკომპლექტებული, აღჭურვილი და მომზადებული საბრძოლო მოქმედების საწარმოებლად. გამოყოფილი ძალები, რომლებიც დაექვემდებარებიან შესაბამისი სახელმწიფოების სამხედრო ხელისუფალთა სარდლობას, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების 42-ე მუხლის თანახმად მათი გამოყენების შემთხვევაში გადავლენ უშიშროების საბჭოს განკარგულებაში.

საყოველთაო და სრული განიარაღების პირველი ეტაპი, როგორც ხელშეკრულების პროექტი ითვალისწინებს, იწყება ხელშეკრულების ძალაში შესვლის 6 თვის შემდეგ, რომელთა განმავლობაში იქმნება განიარაღების საერთაშორისო ორგანიზაცია. პირველი ეტაპის ხანგრძლივობა განსაზღვრულია 15 თვით.

საყოველთაო და სრული განიარაღების მეორე ეტაპის მსვლელობაში ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოები ვალდებულებას კისრულობენ მოახდინონ სრული ლიკვიდაცია ატომური და მასობრივი მოსპობის სხვა იარაღისა, აგრეთვე შემდგომ შეამცირონ თავიანთი შეიარაღებული ძალების რიცხვი, ჩვეულებრივი შეიარაღება და მისი წარმოება და სამხედრო ხარჯები.

წინადადებაა მოისპოს ატომური, ქიმიური, ბიოლოგიური და რადიოლოგიური იარაღი. წარმოების შეიარაღებული ძალების რიცხვის შემდგომი შემცირება: ამერიკის შეერთებული შტატებისა — 1 მილიონ კაცამდე, სსრ კავშირისა — 1 მილიონ კაცამდე და ხელშეკრულების მონაწილე სხვა სახელმწიფოებისა — იმ დონეებამდე, რომელთა შესახებ საჭიროა შეთანხმება. ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოები ამცირებენ ჩვეულებრივი შეიარაღებისა და საომარი მასალების წარმოებას. ისინი ამცირებენ თავიანთ სამხედრო ბიუჯეტებსა და ასიგნობებს სამხედრო მიზნებისათვის ატომური, ქიმიური, ბიოლოგიური და რადიოლოგიური იარაღის მოსპობის და წარმოების შემცირების შესაბამისად, აგრეთვე შეიარაღებული ძალებისა და ჩვეულებრივი შეიარაღების შემდგომი შემცირების შესაბამისად.

მეორე ეტაპის ღონისძიებათა განხორციელების შედეგად განთავისუფლებული სახსრები გამოყენებული იქნება მშვიდობიანი მიზნით, მათ შორის მოსახლეობის გადასახადების შემცირებისა და ეროვნული ეკონომიკის სუბსიდირებისათვის. სახსრების გარკვეული ნაწილი მოხმარდება სუსტად განვითარებული ქვეყნებისათვის ეკონომიური და ტექნიკური დახმარების გაწევას. ამ ნაწილის ოდენობა შეთანხმებულ უნდა იქნას ხელშეკრულების მონაწილეთა შორის.

საყოველთაო და სრული განიარაღების მეორე ეტაპის ხანგრძლივობა განისაზღვრება 15 თვით.

ხელშეკრულების პროექტი ითვალისწინებს, რომ საყოველთაო და სრული განიარაღების მესამე ეტაპის მსვლელობაში ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოები ვალდებულებას კისრულობენ მთლიანად დაითხოვონ მთელი თავიანთი შეიარაღებული ძალები და ამით დაამთავრონ სახელმწიფო სამხედრო მანქანის ლიკვიდაცია. წინადადებაა დამთავრდეს შეიარაღებული ძალებისა და ჩვეულებრივი შეიარაღების ლიკვიდაცია, სავსებით შეწყდეს სამხედრო წარმოება, ლიკვიდირებულ იქნას სამხედრო დაწესებულებები, გაუქმდეს სამხედრო ვალდებულება და სამხედრო სწავლება და აიკრძალოს სახსრების ხარჯვა სამხედრო მიზნებისათვის.

შინაგანი წესრიგის დაცვისათვის, მათ შორის საზღვრებისა და მოქალაქეთა პირადი უშიშროების დაცვისათვის, და საერთაშორისო მშვიდობისა და უშიშროების დაცვის საკუთარ ვალდებულებათა შესრულების უზრუნველყოფისათვის გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების შესაბამისად ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოებს უფლება აქვთ იყოლიონ მსუბუქი სასროლი იარაღით შეიარაღებული პოლიციის (მილიციის) შეზღუდული კონტინგენტები. პოლიციის (მილიციის) ამ კონტინგენტების რიცხვი ხელშეკრულების მონაწილე ყოველი სახელმწიფოსათვის განისაზღვრება შესაბამისი ოდენობით.

ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოებს ნება ეძლევათ აწარმოონ ზუსტად შეზღუდული რაოდენობით მსუბუქი სასროლი იარაღი, განკუთვნილი პოლიციის (მილიციის) ასეთი კონტინგენტებისათვის. იმ ქარხნების ნუსხა, რომლებიც ასეთ იარაღს აწარმოებენ, მისი კვოტა და ტიპები ხელშეკრულების თვითეული მონაწილისათვის განისაზღვრება განსაკუთრებული შეთანხმებით.

ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოები ვალდებულებას კისრულობენ გადასცენ უშიშროების საბჭოს განკარგულებაში მისი მოთხოვნით ფორმირებანი პოლიციის (მილიციის) იმ კონტინგენტების რიცხვიდან, რომლებიც მათთან რჩება, აგრეთვე დახმარება და მომსახურების შესაბამისი საშუალებანი, მათ შორის გავლის უფლება. ამ ფორმირებათა სარდლობა იქმნება მსოფლიოში არსებული სამი ძირითადი ჯგუფის სახელმწიფოთა წარმომადგენლებისაგან, თანასწორი წარმომადგენლობის საფუძველზე.

საყოველთაო და სრული განიარაღების მესამე ეტაპი მთავრდება ერთი წლის განმავლობაში.

როგორც გათვალისწინებულია ხელშეკრულების პროექტით, განიარაღების საერთაშორისო ორგანიზაცია, რომელიც შეიქმნება განიარაღებისადმი კონტროლის განხორციელების მიზნით, შედგება ხელშეკრულების მონაწილე ყველა სახელმწიფოს კონფერენციისა და საკონტროლო საბჭოსაგან. ეს ორგანიზაცია მუშაობს საკითხებზე, რომლებიც შეეხება მოთვალყურეობას სახელმწიფოთა მიერ ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებათა განხორციელებისადმი. ყველა საკითხს, რომლებიც დაკავშირებულია საერთაშორისო მშვიდობისა და უშიშროების უზრუნველყოფასთან და რომლებიც შეიძლება წარმოიშვას ამ ხელშეკრულების განხორციელების დროს, მათ შორის პრევენტიულ და იძულებით ღონისძიებებს, გადაწყვეტს უშიშროების საბჭო თავისი რწმუნებების შესაბამისად, რომლებიც გათვალისწინებულია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებით.

კონფერენცია შედგება ხელშეკრულების მონაწილე ყველა სახელმწიფოსაგან. იგი აწყობს რეგულარულ სესიებს სულ ცოტა ერთხელ წელიწადში, აგრეთვე სპეციალურ სესიებს, რომლებსაც მოიწვევს საბჭო თავისი გადაწყვეტილებით ან ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა უმრავლესობის თხოვნით. ხელშეკრულების მონაწილე თვითეულ სახელმწიფოს ერთი ხმა აქვს. გადაწყვეტილებანი საპროცედურო საკითხებზე მიიღება ხმის უბრალო უმრავლესობით, ხოლო ყველა სხვა საკითხზე ხმის ორი მესამედის უმრავლესობით. კონფერენციას შეუძლია განიხილოს ყველა საკითხი, რომლებიც შეეხება საყოველთაო და სრული განიარაღების განხორციელებისადმი კონტროლის ღონისძიებებს და შეუძლია რეკომენდაციები მისცეს ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოებსა და საბჭოს ყველა ასეთ საკითხზე ან ღონისძიებაზე.

საკონტროლო საბჭოში შედიან გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს მუდმივი წევრი ხუთი სახელმწიფო და ხელშეკრულების მონაწილე სხვა სახელმწიფოთა შესაბამისი რიცხვი, რომლებსაც კონფერენცია აირჩევს ორი წლით. საბჭოს შემადგენლობა უნდა უზრუნველყოფდეს მსოფლიოში არსებული სამი ძირითადი ჯგუფის სახელმწიფოთა შესაბამის წარმომადგენლობას.

განიარაღების საერთაშორისო ორგანიზაცია, მისი პერსონალი და ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა წარმომადგენლები სარგებლობენ ხელშეკრულების მონაწილე თვითეული სახელმწიფოს ტერიტორიაზე ისეთი პრივილეგიებით და იმუნიტეტით, როგორიც საჭიროა ხელშეკრულების შესრულებისადმი კონტროლის დამოუკიდებელი და დაუბრკოლებელი განხორციელებისათვის. ორგანიზაციის მთელი ხარჯების დაფინანსება წარმოებს ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა მიერ გამოყოფილი სახსრებით.

ამ ხელშეკრულების რატიფიკაცია უნდა მოახდინონ მისმა ხელმომწერმა სახელმწიფოებმა ექვსი თვის განმავლობაში მისი ხელმოწერის დღიდან და იგი ძალაში შევა მას შემდეგ, რაც სარატიფიკაციო სიგელებს შესანახავად გადასცემენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სამდივნოს. (საქდესი).

გულთბილი შეხვედრები

ჭიათურა, 16 მარტი. (საქდესი). ტევა არ იყო გუშინ ჭიათურის სახელმწიფო თეატრის დარბაზში. მაღაროელთა ქალაქის მშრომელები, მოსწავლე ახალგაზრდობა, დიასახლისები — სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს არჩევნების ზესტაფონის საარჩევნო ოლქის ამომრჩევლები შეიკრიბნენ აქ, რომ შეხვედროდნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანს **მიხეილ პორფილეს-ძე გიორგაძეს.**

დასასრულ სიტყვა წარმოსთქვა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატმა მ. პ. გიორგაძემ. მან მხურვალე მადლობა გადაუხადა შეკრებილთ დიდი ნდობისათვის.

გორი. 16 მარტი. (საქდესი). გორის გ. ერისთავის სახელობის სახელმწიფო თეატრში ამომრჩევლები შეხვდნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატს საქართველოს პროფსაბჭოს თავმჯდომარეს **მიხეილ მიხეილის-ძე ლელაშვილს.**

მ. მ. ლელაშვილმა გულთბილი მადლობა გადაუხადა ამომრჩევლებს ნდობისათვის.

18 სახელმწიფოს კომიტეტის სხდომა

ჟენევა, 16 მარტი. (საქდესის სპეც. კორ.). დღეს დილით აქ გაიხსნა 18 სახელმწიფოს განიარაღების კომიტეტის მესამე სხდომა. სხდომას თავმჯდომარეობდა ჩეხოსლოვაკიის საგარეო საქმეთა მინისტრი ვ. დავიდი.

ჟენევის პრესის სახლში

ჟენევა, 15 მარტი. (საქდესი). სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის ა. ა. გრომიკოს დღევანდელმა განცხადებამ 18 სახელმწიფოს განიარაღების კომიტეტის სხდომაზე გამოიწვია ჟურნალისტების უდიდესი ინტერესი, რომლებიც ჟენევაში ჩამოვიდნენ კომიტეტის მუშაობის გასაშუქებლად. პრესის სახლის კონფერენც-დარბაზში შეიკრიბა ოთხასამდე ჟურნალისტი, რათა მიეღოთ ა. ა. გრომიკოს გამოსვლის ტექსტი, პროექტი ხელშეკრულებისა მკაცრ საერთაშორისო კონტროლს დაქვემდებარებული საყოველთაო და სრული განიარაღების შესახებ და მემორანდუმი, რომლებიც საბჭოთა მთავრობის სახელით შეტანილია 18 ქვეყნის განიარაღების კომიტეტის განსახილველად.

მორიგი ატომური აფეთქება

ნიუ-იორკი, 16 მარტი. (საქდესი). ატომური ენერგიის კომისიის წარმომადგენელმა ვაშინგტონში განაცხადა, რომ ნევადის ატომურ საცდელ პოლიგონზე განხორციელდა მორიგი მიწისქვეშა ატომური აფეთქება. ეს ოცდამეერთე გამოქვეყნებული მიწისქვეშა ატომური აფეთქებაა, იუწყება იუნაიტედ პრეს ინტერნეიშნლის სააგენტო.

კენედის პრეს-კონფერენცია

ვაშინგტონი, 15 მარტი. (საქდესი). გუშინ გაიმართა პრეს-კონფერენცია, რომელზეც ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა კენედიმ წაიკითხა თავისი წერილი სახელმწიფო მდივნის რასკისადმი, რომელიც მეთაურობს ამერიკის დელეგაციას ჟენევის მოლაპარაკებაზე. ამ წერილში პრეზიდენტი მოუწოდებს რასკს „არ დაზოგოს ძალღონე შესაძლო თანხმობის სფეროთა გამორკვევისათვის". პრეზიდენტი მთავარ ყურადღებას აქცევს იმას, რომ საჭიროა გამოიყოს და დაზუსტდეს „განიარაღების ისეთი თავდაპირველი ღონისძიებანი", რომელთა განხორციელებას მისი აზრით, შეუძლია არსებითად განამტკიცოს საერთაშორისო უშიშროება და გააუმჯობესოს პერსპექტივები შემდგომი პროგრესისა განიარაღების დარგში.

წერილში კენედი აცხადებს, რომ პირადად დაინტერესებულია ჟენევის მოლაპარაკებით.

კითხვაზე, თუ როგორია ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკა კუბის მიმართ, კენედიმ განაცხადა, რომ ამერიკის მთავრობა აპირებს კვლავაც განახორციელოს კუბის ეკონომიური ბლოკადისა და პოლიტიკური იზოლაციის პოლიტიკა.

დაახასიათა რა უცხო სახელმწიფოებისადმი დახმარების ახალი პროგრამა, რომელიც წარედგინა კონგრესს, კენედიმ განაცხადა, რომ ეს პროგრამა ისევე მნიშვნელოვნად უნდა ჩაითვალოს, როგორც ამერიკის სამხედრო პროგრამა. ამასთან პრეზიდენტმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ახალი პროგრამით გათვალისწინებულ ასიგნებათა ნახევარზე მეტი „უშუალოდ დაკავშირებულია სამხედრო დახმარებასთან", რაც, როგორც პრეზიდენტმა აღიარა, ნიშნავს დამატებით ასიგნებებს სამხედრო მიზნით.

დააპატიმრეს ამერიკის შეერთებული შტატების კომპარტიის ლიდერები

ნიუ-იორკი, 16 მარტი. (საქდესი). ამერიკის შეერთებული შტატების კომუნისტური პარტიის მთავარმა ბინამ გამოაცხადა, რომ გუშინ ნაშუადღევს მაკარენის რეაქციული კანონის საფუძველზე დააპატიმრეს კომპარტიის ლიდერები გეს ჰოლი და ბენჯამინ დევისი.

მუშაობა დაამთავრა საქართველოს არქიტექტორთა VI ყრილობამ

16 მარტს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში მუშაობა დაამთავრა რესპუბლიკის არქიტექტორთა VI ყრილობამ.

გაიმართა არქიტექტორთა კავშირის გამგეობის პირველი პლენუმი. საქართველოს არქიტექტორთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარედ არჩეულია საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე **ი. ნ. ჩხენკელი,** მოადგილედ — **ს. შ. კინწურაშვილი,** პასუხისმგებელ მდივნად — არქიტექტურის კანდიდატი **თ. რ. კვირკველია.**

პლენუმმა აირჩია პრეზიდიუმი 11 კაცის შემადგენლობით.

გამგეობის საპატიო წევრად არჩეულია საქართველოს უხუცესი მეცნიერი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი **გ. ნ. ჩუბინაშვილი.** (საქდესი).

სპორტული ქრონიკა

მატჩ-ტურნირის უკანასკნელ პარტიაში ს. გლიგორიჩსა და პ. ბენკოს შორის ფიქსირებულ იქნა ყაიმი. ამრიგად ლ. შტეინმა 3 ქულა შეაგროვა და მეექვსე ადგილი დაიკავა. მას ავტომატურად მიენიჭა საერთაშორისო გროსმაისტერის წოდება.

გუშინ ოჩამჩირეში გაიმართა საკონტროლო მატჩი ფეხბურთში ქუთაისის „ტორპედოსა" და ლუგანსკის „ხიმიკის" გუნდებს შორის. გაიმარჯვეს ლუგანსკელებმა ანგარიშით 1 : 0.

რედაქტორი
დ. მჭედლიშვილი.

უე 05691 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", ლენინის ქ. № 14.